პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

13 იანვარი სამშაბათი 1970

ფასი 2 კაპ.

გამოცემის 50-ე წელი • № 9 (14613)

სურათებზე აღბეჭდილნი არიან ახმეტის რაიონის ალვანის მეცხვარეობის საჯიშე საბჭოთა მეურნეობის მეცხვარეობის ფერმის მმართველი პლატონ ქავთარაძე (ზემოთ) და ბრიგადირი გურამ ხაჩიძე.

მასალა ალვანელ მეცხვარეთა შრომითს საქმიანობაზე იხილეთ ჩვენი გაზეთის დღევანდელი ნომრის მეორე გვერდზე.

ფოტო ვ. ყუშიტაშვილისა.

მათ თავი ისახელეს

ლენინურ შრომითს ვაჩუქებ

ლენინის უკვდავი იდეები და საქმენი, მისი ცხოვრების დიადი გმირობა შთაგონებისა და ოპტიმიზმის დაუშრეტელი წყაროა საბჭოთა ადამიანებისათვის...

სკკპ ცენტრალური კომიტეტის თეზისებიდან „ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის".

ხალხის ჯანმრთელობის სადარაჯოზე

ეჭვი არ არსებობს, დღეს უკვე 13 იანვარია, მაგრამ მაინც შეიძლება ითქვას, რომ ჯერ კიდევ პირველი დღეებია ახალი წლისა. და აი რასაც ადამიანები ამ დღეებში, ახალი წლის დადგომასთან დაკავშირებით ულოცავენ და უსურვებენ ერთმეორეს, ყველაზე ძვირფასი რამ ჯანის სიმრთელეა. მრავალს დაესწარით, ჯანმრთელად იყავით! — ამ სიტყვებით მივმართავთ ერთმანეთს და ამით კიდევ და კიდევ გამოვხატავთ იმ ძველთაძველ ჭეშმარიტებას, რომ ადამიანისათვის ყველაზე დიდი სიმდიდრე ჯანმრთელობაა.

ნამდვილად მრავალსმთქმელია, რომ ისტორიაში პირველად სოციალიზმმა გამოაცხადა ადამიანის ჯანმრთელობა საზოგადოებრივ საკუთრებად, ხოლო მისი დაცვა ყველა სახელმწიფოებრივი ორგანოს პირდაპირ მოვალეობად აღიარა. განა საბჭოთა წყობილების შესანიშნავ სოციალურ უპირატესობაზე არ მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ ამჟამად ჩვენში ხალხის ჯანმრთელობის საქმეს ემსახურება თითქმის 620 ათასი ექიმი და 2 მილიონამდე საშუალო კვალიფიკაციის მედიცინის მუშაკი? ხოლო თუ იმასაც ვიტყვით, რომ ჩვენს ქვეყანაში დღეისათვის მუშაობს 39 ათასი ლაბორატორიულ-პოლიკლინიკური დაწესებულება, 26 ათასზე მეტი საავადმყოფო, სანორჩიო დახმარების სამი ათასამდე სადგური, მრავალი ათასი სანატორიუმი, დასასვენებელი სახლი, პროფილაქტორიუმი და ტურისტული ბაზა, ნათელი გახდება, რაოდენ დიდ მზრუნველობას იჩენენ კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა ხალხის ჯანმრთელობის დასაცავად.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის თეზისებში „ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის" ნათქვამია: „საბჭოთა სახელმწიფო განუხრელად ახორციელებდა ხალხის კეთილდღეობისა და კულტურის ამაღლების ლენინურ გენერალურ კურსს". ამ კურსის ძირითად ღონისძიებათა შორის დასახელებულია ხუთდღიანი სამუშაო კვირის შემოღება, სამუშაო პირობების საყოველთაო გაჯანსაღება (სსრ კავშირი ეკუთვნის იმ ქვეყნების რიცხვს, სადაც ყველაზე დაბალია საწარმოო ტრავმატიზმის დონე), ყველასათვის ხელმისაწვდომი სამედიცინო დახმარება, დედის და ბავშვის დაცვა. აი სწორედ ამ ღონისძიებათა განუხრელად განხორციელების შედეგია, რომ ჩვენში ერთიორად და მეტად იმატა ადამიანის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობამ.

თუ ჩავუკვირდებით სახალხო მეურნეობის წლევანდელი სახელმწიფო გეგმის თუნდაც რამდენიმე ციფრს, ცხადლივ დავინახავთ ასეთ სურათს: შარშან ჯანმრთელობის დაცვის ხარჯები შეადგენდა 8,5 მილიარდ მანეთს, წელს კი ეს ხარჯები 9 მილიარდ მანეთს გადააჭარბებს, ანუ: თუ 1969 წლის დამლევისათვის საავადმყოფო საწოლებით მოსახლეობის უზრუნველყოფა 10 ათას კაცზე გაანგარიშებით შეადგენდა 106,7-ს, წელს ეს მაჩვენებელი გაიზრდება 104,7-მდე, რაც მნიშვნელოვნად აღემატება შესაბამის მაჩვენებლებს ბევრ განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყანაში.

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის შემდგომ გაუმჯობესებას, საზოგადოებრივი ურთიერთობის ამ დარგში კანონიერების განმტკიცებას აქტიურად ემსახურება ჯანმრთელობის დაცვის საბჭოთა კანონმდებლობა. ამ მხრივ უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება „სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების ჯანმრთელობის დაცვის კანონმდებლობის საფუძვლებს", ახლახან რომ მიიღო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეშვიდე ხუსიამ.

მეტად ნიშანდობლივია, რომ ამ „კანონმდებლობის" მიღება წინ უსწრებდა 1970 წელს, ვ. ი. ლენინის საიუბილეო წელს. ლენინის სახელთან ბოლ ჩვენს ქვეყანაში ხალხის ჯანმრთელობის დაცვის განვითარების ყველაზე მნიშვნელოვანი ნაბიჯებია დაკავშირებული. ლენინის დეკრეტი ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატის შექმნის შესახებ მოსწავდა ჯანმრთელობის დაცვის ყველაზე პროგრესული სახელმწიფო სისტემის დაბადებას, რომელმაც ჩვენი ქვეყნის ყველა მოქალაქისათვის უზრუნველყო საყოველთაოდ ხელმისაწვდომი უფასო კვალიფიციური სამედიცინო დახმარება.

„სსრ კავშირის მოქალაქენი, — ნათქვამია ამ ახალ დოკუმენტში, — უნდა უფრთხილდებოდნენ თავიანთ ჯანმრთელობას და საზოგადოების სხვა წევრთა ჯანმრთელობას" ეს მარტო სრულიად ახალი დებულება როდია, ამასთანავე სიმბოლურიც არის და სახიხარულოც! ერთმანეთის გაუფრთხილებლად მართლაც რა ჯანმრთელობაზე შეიძლება ლაპარაკი.

ახალ დოკუმენტში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სამინისტროები და მათი ორგანოები პასუხს აგებენ ხახალხო ჯანმრთელობის დაცვის საქმის მდგომარეობისა და შემდგომი გაუმჯობესებისათვის, პროფილაქტიკურ ღონისძიებათა ორგანიზაციისათვის, მოსახლეობისათვის სამედიცინო დახმარების ხარისხისა და მედიცინის მეცნიერების განვითარების დონისათვის. ეს მეტად დიდი პასუხისმგებლობის წინაშე აყენებს ჩვენი რესპუბლიკის მედიცინის მუშაკთა მრავალრიცხოვან არმიას.

როგორც საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ამასწინანდელ სესიაზეც აღინიშნა, ჩვენში ჯერ კიდევ დაბალია სტაციონარული საწოლებით უზრუნველყოფის მაჩვენებლები. მაგალითად, თბილისის მთელ რიგ სტაციონარებში საშუალოდ ერთ ავადმყოფზე ოდის 2-დან 4 კვადრატულ მეტრამდე, ნაცვლად ნორმით გათვალისწინებული 7 კვადრატული მეტრისა. ნამდვილად შეუწყნარებელია, რომ ასეთ პირობებში ჯანმრთელობის ობიექტებზე გამოყოფილ ასიგნებათა მთელი ნაწილი ყოველწლიურად ხარჩოჩება.

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების ჯანმრთელობის დაცვის კანონმდებლობის საფუძვლების მიღებას წინ უსწრებდა ამ საფუძვლების პროექტის საერთო-სახალხო განხილვა, რამაც დამჯერებლად ცხადყო ჩვენი საზოგადოების ფართო და თანმიმდევრული დემოკრატიზმი და ჰუმანიზმი, ცხადყო საზოგადებრივი ინტერესების განუყრელი კავშირი თვითეული მოქალაქის ინტერესებთან.

ადგილმტრიგმა პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა ენერგია არ უნდა დაიშურონ ჯანმრთელობის დაცვის კანონმდებლობის საფუძვლების ცხოვრებაში გასატარებლად. საქმე მარტო ის როდია, რომ თვით კანონმდებლობის საფუძვლები განუმარტოთ მოსახლეობას, ამ კანონმდებლობის ძალას ყოველ წუთს უნდა გრძნობდეს თვითეული მოქალაქე. უნდა მივაღწიოთ, რომ საწარმოების, დაწესებულებებისა თუ კოლმეურნეობების ხელმძღვანელები, როგორც იტყვიან, მთელი სიგრძე-სიგანით ამართლებდნენ თავიანთ პასუხისმგებლობას მშრომელთა ჯანმრთელობის დასაცავად. ამ თვალსაზრისით სამკურნალო დაწესებულებებში შექმნილ მდგომარეობაზე ძალიან ბევრი რამ არის დამოკიდებული. გამუდმებით, ყოველდღიურად უნდა ვზრუნავდეთ, რათა ყველგან თვალსაჩინივით უფრთხილდებოდნენ ეკიმის მაღალ მოვალეობასა და ეთიკას. ხოლო იქ, სადაც საჭიროა, მთელი სიმკაცრითა და სისასტიკით უნდა ვიყენებდეთ კანონის უებარ სამკურნალო ძალას. ახალი კანონმდებლობის ერთ-ერთი დანიშნულება ხომ ესეც არის.

ჯანმრთელი ადამიანი მზეს შეჰხარისო, ნათქვამია. ეს აზრი თამამად შეიძლება მთელ საზოგადოებაზეც ითქვას. და მართლაც, რა შეედრება იმ ჯანსაღ საზოგადოებას, რომელიც მოწოდებულია აშენოს ყველაზე სამართლიანი-ცხოვრება.

მაღაროელთა ახალი თაოსნობა

ჭიათურა. (საკ. კორ.). ორჯონიკიძის სახელობის მაღაროს კოლექტივი პირნათლად ასრულებს საიუბილეო ვალდებულებებს. ორჯონიკიძელებმა ხუთწლედის ოთხ წელიწადში სამშობლოს გეგმის გადამეტებით მისცეს 32.700 ტონა მარგანეცი. შრომის ნაყოფიერება ნაცვლად 2 პროცენტისა გაზარდეს 5,8 პროცენტით. მარტო 1969 წელს პროდუქციის თვითღირებულების შემცირებით დაზოგეს 303 ათასი მანეთი. პროდუქციის რეალიზაციით მიღებულმა მოგებამ 2.442 ათასი მანეთი შეადგინა. სამასამდე მაღაროელს მინიჭებული აქვს კომუნისტური შრომის დამკვრელის წოდება. კომუნისტური შრომის კოლექტივების სახელს ატარებენ მეხუთე და მეშვიდე უბნები, პეროქსიდების გამამდიდრებელი ფაბრიკა, შვიდი ცალა...

ახლახან გაიმართა მაღაროს კომუნისტური შრომის დამკვრელთა შეკრება, რომელმაც შეაჯამა სოციალისტური შეჯიბრების შედეგები. **შეკრების მონაწილეებმა იკისრეს ახალი ვალდებულებანი: კომუნისტური შრომის ყველა დამკვრელმა ორი თვით ადრე შეასრულოს 1970 წლის გეგმა, მაღაროს კოლექტივმა იბრძოლოს იმისათვის, რომ ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის შეასრულოს ოთხი თვის დავალება და მოიპოვოს კომუნისტური შრომის მაღაროს სახელი. 1970 წლის 21 და 22 აპრილს იმუშაონ დაზოგილი მასალებით, შაბათი, 11 აპრილი გამოაცხადონ კომუნისტური შაბათობის დღედ და გამომუშავებული პროდუქცია მთლიანად შეიტანონ ხუთწლედის ფონდში.**

ორჯონიკიძელმა კომუნისტური შრომის დამკვრელებმა მარგანეცის ქალაქის სამრეწველო საწარმოთა კომუნისტური შრომის დამკვრელებს მიმართეს მოწოდებით — უფრო მაღლა ასწიონ საიუბილეო სოციალისტური შეჯიბრების დროშა, იმუშაონ და იცხოვრონ კომუნისტურად, ღირსეულად შეხვდნენ დიად იუბილეს.

ორჯონიკიძელთა თაოსნობას მხარი დაუჭირეს ჭიათურის ყველა საწარმოში, მშენებლობებსა და ტრანსპორტზე.

პირველი დღეების ტემპი

ქუთაისი. (საკ. კორ.). მინისტრების ქარხნის კოლექტივმა გასულ წელს გეგმის გადამეტებით გამოუშვა 3 მილიონ 706 ათასი ცალი მინის ქილა, 5.000 მანეთის ბრიოლის ჭურჭელი და 105,1 პროცენტით შეასრულა რეალიზაციის გეგმა.

ახალი წლის დამდეგიდანვე საწარმოს კოლექტივმა შრომის დამკვრელური ტემპი აიღო. ხანვრის პირველ კვირტალში საღუმელე-სამანქანო საამქროს კოლექტივმა, რომელსაც ირ. კვიკინაძე უძღვება, 290 ათასი ცალი ზეგეგმითი მინის ქილა გამოუშვა. პროდუქციას გეგმის გადამეტებით იძლევიან ბერეთველ ბრიოლის ნაწარმისა და მუყაოს ყუთების დამამზადებელი საამქროები.

ДЕДАКАЛАКИ ЕГЕГЕГЕГА

УКРАИНИС სსრ მეცნიერების ლენინური დღეები მოსკოვში

12 იანვარს მოსკოველები გულთბილად შეხვდნენ უკრაინელ მეცნიერთა წარმომადგენლებს, რომლებიც დედაქალაქში ჩამოვიდნენ რესპუბლიკის მეცნიერების ლენინურ დღეებში მონაწილეობისათვის.

დელეგაციას მეთაურობს უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი, უკრაინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი თ. დ. ოვჩარენკო. დელეგაციის შემადგენლობაში არიან — უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე პ. ტ. ტრონკო, უკრაინის სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ბ. ე. პატონი, (საკადესი).

საუკეთესო ჩაიუარა

იანგიერი (სირ-დარიის ოლქი), 10 იანვარი (საკადესის კორ.). პირველი კუბური მეტრი მიწა ამოიღეს ქვაბულიდან, რომელიც მზადდება სირ-დარიის უდიდესი სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურის მთავარი კორპუსის საძირკველისათვის. იგი უდიდესი იქნება საბჭოთა ქვეყნის აღმოსავლეთ ნაწილში.

ალმოჩენა ნომერი 59

დუბნა, 10 იანვარი. (საკადესის კორ.). მოსკოვის ახლოს მდებარე დუბნის ბირთვული კვლევის გაერთიანებული ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ე. ი. �ART-ᴍᴏᴏᴅᴇᴍᴀ ინსტიტუტის თანამშრომელთა ჯგუფს გადასცა დიპლომები, რომლებიც ადასტურებენ მათ ავტორობას ახალი ელემენტარული ნაწილაკის აღმოჩენაში.

სსრ კავშირის სახელმწიფო რეესტრში 59 ნომრით რეგისტრირებულია ახალი ელემენტარული ნაწილაკის — ანტი-სიგმა-მინუს-ჰიპერონის აღმოჩენა. მეცნიერებმა ეს ნაწილაკი 1960 წელს აღმოაჩინეს დუბნაში.

დიპლომები გადაეცათ ბირთვული კვლევის გაერთიანებული ინსტიტუტის თანამშრომელთა ჯგუფს — ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის, რუმინეთისა და სსრ კავშირის წარმომადგენლებს.

ე. ი. არტემიევმა ბირთვული კვლევის გაერთიანებული ინსტიტუტის მეცნიერთა ინტერნაციონალური კოლექტივს მიულოცა დიპლომების მიღება და აღნიშნა, რომ დუბნის მეცნიერებმა მიიღეს აღმოჩენათა შესახებ ყველა დიპლომის დაახლოებით ათი პროცენტი, რომლებიც გაცემულია სსრ კავშირში.

ბირთვული კვლევის გაერთიანებული ინსტიტუტის დირექტორმა აკადემიკოსმა ნ. ნ. ბოგოლიუბოვმა დიპლომები გადასცა იმ მეცნიერთა ჯგუფს, რომელთა ნაშრომებმა პრემიები დაიმსახურეს დუბნაში შესრულებულ სამეცნიერო ნაშრომთა ყოველწლიურ კონკურსში.

ოქტომბრის რელიკვიები

ნი წელი შეუსრულდა ლენინგრადის დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მუშაობს. მისი შექმნისათვის მუშაობა დაიწყო ჯერ კიდევ 1919 წლის ოქტომბერში. ამ სამუშაოებს სათავეში ჩუდგა კოლეგია, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ ა. ვ. ლუნაჩარსკი, ა. მ. გორკი, მუზეუმი ზამთრის სასახლეში გაიხსნა 1920 წლის 11 იანვარს.

სამოქალაქო ომის ძნელ პირობებში თანამშრომლებმა მოახერხეს ფართო სამეცნიერო-კვლევითი და კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობის გაშლა. მუზეუმი გახდა პარტიულ ორგანიზაციათა ერთ-ერთი აქტიური თანამეგზავრ მშრომელთა კომუნისტურ აღზრდაში, მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების პროპაგანდაში.

ამჟამად მუზეუმის ექსპოზიციაშია 150 ათასი დოკუმენტი და რელიკვია.

დიდი ოქტომბრის 40 წლისთავისათვის მუზეუმი გაიხსნა ახალ შენობაში — ქუსინსკაიას ყოფილ სახლში, სადაც 1917 წლის მარტიდან ოქტომბერამდე ბოლშევიკების პარტიის ცენტრალური და პეტროგრადის კომიტეტები. ამ სახლის აივნიდან წარმოთქვა ვ. ი. ლენინმა სიტყვა, როცა ემიგრაციიდან დაბრუნდა.

ლენინის ხმა მრავალჯერ აკეკრებულა ადგილი ამ სასახლის დიდ დარბაზში, სადაც ახლა ეწყობა ლენინის, საოქტომბრო და საკავშირო კითხვები, თემატური საღამოები, ლექციები, რეკოლექციის ვეტერანებთან შეხვედრები. პარტიის ვეტერანები აქ გადასცემენ ქალიშვილებსა და ჯაბუკებს კომკავშირულ ბილეთებს.

ნახევარი საუკუნის მანძილზე მუზეუმში იყო 15 მილიონამდე კაცი. მუზეუმის თანამშრომლებმა, რომლებიც ემზადებიან ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის, გაშალეს დიდი მუშაობა ბელადის თეორიული მემკვიდრეობის პროპაგანდისათვის. (საკადესის კორ.).

მუზეუმის ნახევარსაუკუნოვანი იუბილე

ქრის საპროექტო სიმძლავრე

რაზდანი (სომხეთის სსრ), 12 იანვარი. (საკადესის კორ.). დიდი გამარჯვება მოიპოვეს დღეს მაღალი მთის რაზდანის თბოელექტროცენტრალის მშენებლებმა და მემონტაჟეებმა. ამოქმედდა უკანასკნელი აგრეგატი სადგურისა, რომელიც ერთად ამიერკავკასიის ერთიან ენერგოსისტემაში. ამერიგად თბოელექტროცენტრალმა მიაღწია საპროექტო სიმძლავრეს — 300 ათას კილოვატს. ამერიდან ოთხი ტურბოგენერატორი ყოველწლიურად გამოუშვებს ორ მილიარდამდე კილოვატსაათ ელექტროენერგიას.

უახლოეს ხანში ახალგაზრდა ინდუსტრიული ქალაქი რაზდანი სომხეთის უდიდესი ენერგეტიკული ცენტრი გახდება. მოქმედი თბოელექტროცენტრალის გვერდით შენდება 1.200 ათასი კილოვატი სიმძლავრის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგური. მისი პირველი ბლოკის საექსპლოატაციოდ გადაცემა გათვალისწინებულია მომდინარე წელს.

საზღვაო მშენებელი

ახალი ტიპის ამწე გემმა რეგულარული რეისები დაიწყო ყასპიის ზღვაში. მისი დახმარებით აშენებენ ჰიდროტექნიკურ კომპლექსებს, მოწყობილობას მიიტანენ საზღვაო ჭაბურღილებზე. ყასპიის ახალ დასახლებას, რომელიც ასტრახანის ქარხანა „ულასნი ბრიკადში" აგებს, მიენიჭა ინჟინერ-მბურღავის იაკუბ ქიაზიმოვის სახელი.

წინამორბედთაგან ახალი გემი გამოირჩევა გადიდებული სანაოსნო თვისებებით. მას ვერაფერს დაკლავს ათ ბალამდე სიმძლავრის ქარი. სრულყოფილი ელექტრორადიოსანავიგაციო ხელსაწყოები საშუალებას, აძლევენ გემს ზღვაში გავიდეს იმ მომენტში, როცა სრულებით არ არის ხილვადობა. მძლავრი ძრავები ერთნახევარ-ორჯერ უზრუნველყოფენ მეტ ხიჩქარეს, ვიდრე ამჟამად მცურავ ამწე გემებს აქვთ.

(საკადესის კორ.).

უკრაინის ლითონი

უკრაინელმა მეტალურგებმა წარმატებით დაამთავრეს გასული წელი და გადაჭარბებით შეასრულეს ფოლადის, ნაგლინის წარმოების, რკინისა და შანგუშის მადნის მოპოვების, ცეცხლმედეგი ნაწარმის გამოშვების გეგმა დ 1970 წლის პირველი დღეებიდანვე მუშაობის მაღალ რიტმს ინარჩუნებენ. ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავ შეჯიბრებას სათავეში ჩაუდგნენ ედანოვის „აზოვსტალის", ენაკიევის მეტალურგიული, ხარციზსკის მილის ქარხნებისა და სხვა საწარმოთა კოლექტივები.

1970 წელს ოთხი და უფრო მეტი პროცენტით გაიზრდება უკრაინელ მეტალურგთა პროდუქციის მოცულობა, განუცადა საკადესის კორესპონდენტს უკრაინის სსრ შავი მეტალურგიის მინისტრმა ი. პ. ჟულკოვმა. ამისათვის საფუძველი უკვე შექმნილია. შარშან ქარხნებში ბევრი რამ გაკეთდა წარმოების ორგანიზაციის სრულყოფისათვის. გაუმჯობესებულია მადნის მოპოვებისა და გამდიდრების, თუჯისა და ფოლადის გამოთნობის ტექმოლოგია.

მიმდინარე წელს უკრაინელ მეტალურგთა წინაშე დიდი ამოცანებია დასახული. მათ უნდა გამოადნონ 41,2 მილიონი ტონა თუჯი და 46,4 მილიონი ტონა ფოლადი, აწარმონონ 36,8 მილიონი ტონა ნაგლინი. გადიდდება დაბალი ლეგირებული ფოლადების ნაგლინის, თერმულად განმტკიცებული ნაგლინის, გრეხილი პროფილების, ფოლადის მავთულის წარმოება.

(საკადესის კორ.).

ხელმძღვანელი პარტიული კადრების სწავლა

სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ უმაღლეს პარტიულ სკოლაში 12 იანვარს დაიწყო მეცადინეობა ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა კადრებს გადასამზადებელი კურსების მორიგ ნაკადთან.

კურსები გახსნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ი. ვ. კაპიტონოვმა. აკადემიკოსმა ბ. ნ. პოსპელოვმა წაიკითხა ლექცია „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიული გამოცდილება და მისი მნიშვნელობა კომუნიზმის აშენებისათვის საბჭოთა ხალხის ბრძოლაში". მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიური მეცნიერების განვითარების აქტუალურ პრობლემებს მიუძღვნა თავისი გამოსვლა აკადემიკოსმა თ. ვ. კონსტანტინოვმა.

კურსების მსმენელები — მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტების, პარტიის სამხარეო და საოლქო კომიტეტების მეორე მდივნები და მდივნები — თვის განმავლობაში მოისმენენ ლექციებსა და მოხსენებებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიისა და პოლიტიკის, მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის, მეცნიერული კომუნიზმის, პოლიტიკური ეკონომიის, პარტიული მშენებლობის საკითხებზე, ერთმანეთს გაუზიარებენ მუშაობის გამოცდილებას.

დაიწყო აგრეთვე მეცადინეობა პარტიული და საბჭოთა მუშაკების სოლოქმთამორისო, რესპუბლიკური და რესპუბლიკათშორისი კურსების მორიგ ნაკადებთან.

ДИДИ АОКТОМБРИС ГИН



15 იანვარს იწყება მოსახლეობის სრულიად საკავშირო აღწერა

ქუთაისის პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები დროულად მოეშზადნენ მოსახლეობის სრულიად საკავშირო აღწერისათვის.

მოსახლეობის წინა აღწერის შემდეგ ქუთაისს შეემატა გუმათაქესის მუშათა დაბა, ახალი საცხოვრებელი უბნები და კვარტალები. სწორედ ამიტომ დამატებით შეიქმნა საველწერო განყოფილებები. ახლა ქუთაისი დაყოფილია 6 საველწერო განყოფილებად, 39 საინსტრუქტორო და 217 საველწერო უბნად. მომავალ აღწერაში 500-მდე კაცია ჩაბმული.

ამ დიდ კამპანიაში მონაწილეობას იღებენ საკმაოდ ვაზიცდილი და ავტორიტეტიანი მუშაკები. მათ შორის არიან საქალაქო საბჭოს აღმასკომის საგეგმო კომისიის თავმჯდომარე კ. აფრიდონიძე, საავტომობილო ქარხნის დირექტორის მოადგილე და მთავარი ეკონომისტი გ. გაბიძაშვილი, რესპუბლიკის თანამშრომელი ჭ. ჭაჭიბაშვილი, მ. კვირკაძე, ჟ. ხაზარაძე და სხვები.

დიდი მუშაობაა გაწეული საცხოვრებელი კვარტალებისა და სახლთმფლობელობათა ნუმერაციისათვის. დროულად დამთავრდა საველწერო უბნების წინასწარ შემოვლა და სახლთმფლობელთა სიების დაზუსტება, რის შემდეგაც ქალაქში დამატებით შეიქმნა ორი საველწერო უბანი.

აღწერის ხელმძღვანელობა საქალაქო კომისია ყოველნაირ დახმარებას უწევს აღწერის მუშაკებს. საველწერო განყოფილებები და უბნები უზრუნველყოფილი არიან სათანადო მასალებით, საჭირო შენობებით, სატელეფონო კავშირითა და ტრანსპორტით. საბოლოოდ დაუზუსტეს საველწერო განყოფილებებისა და საინსტრუქტორო უბნების სახზღვრები. შედგენილია სქემატური გეგმები თვითეული განყოფილებისა და საველწერო უბნისათვის.

ათასობით აგიტატორი, პოლიტინფორმატორი, პროპაგანდისტი და აღმწერი ეწევა, როგორც სამუშაო, ისე საცხოვრებელი ადგილის მიხედვით მოსახლეობაში მომავალი აღწერის მნიშვნელობის ფართო პროპაგანდას.

ქუთაისი ყოველმხრივ მზად არის დიდი აღწერისათვის.

შ. ჯავახაძე,
„კომუნისტის" საკ. კორ.

კადრები მომზადებულია

აბაშა. (საკ. კორ.). მოსახლეობის საკავშირო აღწერა დიდი მასშტაბის სტატისტიკური კამპანიაა. ამას კარგად ითვალისწინებენ რაიონში. დამთავრდა მოსახლეობის აღწერის კადრების მომზადება. მომავალ აღწერაში, რაც 15 იანვარს დილიდან დაიწყება, იმუშავებს ორი წინა აღწერის 15 მონაწილე, რომლებსაც სათანადო გამოცდილება აქვთ. აღწერის წესები კარგად აითვისეს ვ. ქოთაეთმ, ვ. შომახიამ, ა. კაჭარავამ და სხვებმა. აქტიურობას იჩენენ ახალგაზრდა აღმწერები მ. ცომაია და მ. გვაზავა.

მდივნის პატიოსანი

სოფელი მადლიერია

ქობულეთის რაიონის ლეღვის კოლმეურნეობის ჩოლოქის მასივს ბარი არასდროს დაჰკარებია. ზოგჯერ შემას თუ დაამუდბებენ ან სანადირო შვიდოდნენ მიდამო შამბნარსა და ველალბარს დაეჯახნა.

როცა მაღალმთიანი რაიონების სოფლებიდან ხალხის ჩამოსახლების საკითხი დაისვა, სოფელ ლეღვის თავკაცებს უთხრეს 50 ოჯახისათვის ადგილი გამოენახათ.

— ჩოლოქის მასივში დავასახლოთ, — თქვა კოლმეურნეობის ყოფილმა თავმჯდომარემ, პენსიონერმა ახმედ სტამბოლიშვილმა.

— გზა არ არის, წყალი არ არის, სოფლის ცენტრს დაშორებულია, ტყის გატეხვა გაუძნელდებათ, — შენიშნა ვიღაცამ.

— რას ამბობთ, — შეედავა ახმედი, — ქვეყანა ასეთად კი არ გაჩენილა, რაც გაკეთდა, კაცის გამჩრე ბერეულმა გააკეთა. პირველი ამხანაგობა რომ ჩამოვაყალიბეთ, ხუთი უღელი ხარი და რამდენიმე ბარი გვქონდა. მაინც გულს არ ვიტეხდით. და აი რას მივაღწიეთ... კაცი კაცითაო, უთქვამთ, ნამდვილად ასეა, ტყე თუ ძნელი გასატეხია, სამაგიეროდ მიწა დალოცვილი, ჩვენც მხარში ამოვუდგებით, გზას გავაკეთებინებთ, ბაღს გავაშენებინებთ, სახლს გავამართვინებთ... სხვა რა უნდათ.

იმსჯელეს, და ისე გადაწყდა, როგორც ახმედმა თქვა. მოელი სოფელი შეესია ჩოლოქის ეწერს. ტყე დაამორჩილეს, გორაკები დაატერასეს, ახალი კერა გაანალეს, ხუნელისა და ციტრუსის ნერგები ჩაყარეს, ჩაის პლანტაცია გაშენეს.

ხალხმა ფული რომ გაიდგა, საზოგადოებრივი საქმისთვისაც მოიცალა. ეი მაშინ გადაწყდა ჩამოყალიბებულიყო ჩამოსახლებულთა ბრიგადა. მას ხელმძღვანელი სჭირდებოდა. არჩევანი მიხეილ ირემაძეზე შეჩერდა.

— კომუნისტი ხარ, საკმაო გამოცდილებაცა გაქვს, გავალებთ ხალხს წინ გაუძღვე, ხელიც გაუმართოთ, — კოლმეურნეობის გამგეობის სხდომაზე უთხრეს მიხეილს. ასე ჩამოყალიბდა მერეკე ბრიგადა.

მიხეილი თითქმის მთელ დროს ახალ ბრიგადაში ატარებდა. შრომობდა კოლმეურნეებთან ერთად, ეცნობოდა მათს სიხარულსა და ტკივილებს. გულისხმიერ მოპყრობას ადამიანები თავდადებით უპასუხებდნენ, მალე მეოერე ბრიგადა ერთ-ერთი მოწინავე გახდა კოლმეურნეობაში.

მიხეილიც ცდილობდა, რომ ყველას გამოეჩინა თავისი უნარი, შესაძლებლობა. კარგად იყენებდა ცნობილ ლენინურ სიბრძნეს — ვიცხოვროთ ხალხის შუაგულში, ვიცოდეთ ადამიანთა განწყობილება, შეგვეძლოს მათი აბსოლუტური ნდობის მოპოვება.

ორი წლის შემდეგ მიხეილი სოფლის მოწინავე ავანგარდმა, 70 კაცისაგან შემდგარმა პარტიულმა ორგანიზაციამ, პარტბიუროს მდივნად აირჩია.

მდივნის წინაშე გადასაწყვეტად მთელი რიგი რთული საკითხები წამოიჭრა. აქამდე თუ იგი პასუხს აგებდა მხოლოდ ბრიგადის წარმატებებზე, ახლა უნდა გასძღოლოდა კომუნისტებს, კოლმეურნეობის, გამგეობასთან ერთად ეხრძოლნა სოფლის უკეთესი მერმისისათვის.

მთავარი ის იყო, რომ წინა წლებში კოლმეურნეობის ხელმძღვანელობა თავს ვერ აერთვნდა მოზღვავებულ საქმეებს. დაბალი იყო შრომის დისციპლინა, ნიადაგიდან საკოლმეურნეო ქონებაზე ზოგიერთი გაურბოდა საკოლმეურნეო შრომას, ვერ ასრულებდნენ გეგმებს.

სოფლის მშრომელებმა მოითხოვეს კოლმეურნეობის ხელმძღვანელების შეცვლა. თავმჯდომარის პოსტზე დასასვლელს თანასოფელი ამირან გოგიტიძე. ამირანს პარტიული და სამეურნეო მუშაობის საკმაო გამოცდილება ჰქონდა, მაგრამ ხალხურ სიბრძნეს უთრეკამს, მარტოხელა კაცი ჯამშიაც ბრალიაო. მარტოდმარტო ერთი ამირანი რას გასწვდებოდა 500-კომლიან სოფელს, თუ გარს არ შემოიკრებდა იმ მოწინავე ადამიანებს, რომლებსაც გული შესტკიოდათ „საერთო საქმისათვის!

გასაკეთებელი კი ბევრი რამ იყო. უნდა გაეშენებინათ ახალი ბაღები და პლანტაციები, გაეყვანათ გზები, აეკოთ შენობები და ხიდები, ყველა დარგში შეესრულებინათ სახელმწიფო გეგმები. მოსაგვარებელი საკითხები წამოიჭრა პარტიული ბიუროს წინაშე. ბიუროო მხარი უნდა ამოდგომოდა კოლმეურნეობის გამგეობას. უნდა დაერაზმათ სოფლის კომუნისტები. მთელი მოსახლეობა, რომ ჩამორჩენისათვის თავი დაეღწიათ.

პარტიული ბიუროს სხდომაზე საქმიანი მსჯელობა ჯიმპართა. ბიუროს წევრებს შორის შუდმივ და ერთდროულ დავალებებს ანაწილებდნენ... ზოგიერთმა სცადა თავი აერიდებინა დავალებებისათვის. ისიც უამრავი საქმე მაქვსო, ითმენდიდა.

— თქვენ როგორ მსჯელობთ, ამხანაგებო, — ეკან არ დაინია მიხეილმა, — მე მდივნად ამირჩიეს, — მაგრამ ბრიგადის საქმეები ჩემთვის არავის შეუსუბუქებია. მდივნობა ჩემი პარტიული და საზოგადოებრივი დავალებაა და იგი მე პირნათლად უნდა შევასრულო. შემიძლია თქვენს მაგივრადაც ბევრი რამ გავაკეთო პარტიული ორგანიზაციისათვის, მაგრამ ეს რას დაემსგავსება, მარტო თუ გავიტი ეულიში, ამით საქმე სწრაფად წავა? არა, ამხანაგებო, ყველა უნდა გავისარჯოთ, ჩვენს სამსახურებრივ მოვალეობას შევუთავსოთ საზოგადოებრივი საქმე. მაშინ შრომაც უფრო სასაღლო იქნება და უკეთეს შედეგსაც მივაღწევთ...

ასე შეუდგნენ კოლმეურნეობის გაგეთებას და პარტიული ორგანიზაცია ხელისუფლებიკიდებულ მუშაობას. მათ ერთი ჰქონდათ საქმე და მიზანი, ისიც კარგად იცოდნენ, რომ კოლეგიური შრომით წარმატებას მიაღწევდნენ.

დღისით მიხეილი სამეურნეო საქმიანობით იყო გართული, ღამით პარტიულ ლიტერატურას კითხულობდა, სხვათა გამოცდილებას ეუნაფეობდა. „წარმატებით რომ შეასრულონ ახალი ამოცანები, პარტიულმა ორგანიზაციამ უნდა გაალიერონ თავიანთი რიგების ბრძოლისუნარიანობა, სრულყონ მუშაობის სტილი და მეთოდები, იზრუნონ წარმოებაში კომუნისტთა ძალების სწორი განაწილებისათვის, ყველა უბანზე პარტიული გავლენის გაძლიერებისათვის... პარტიული ორგანიზაცია ძლიერია პარტიის წევრთა შეგნებით, მეკავშირებით, აქტიურობით". მიხეილს მოეწონა წაკითხული, გახარა, ფანქარი დადო და დაფიქრდა. უპირველეს ყოვლისა, დაფიქრდა თავის თავზე, დაფიქრდა და უმაღლეს იგრძნო, რომ პარტიულ ორგანიზაციის მდივანს მოეთხოვება მეტი თეორიული ცოდნა, ვიდრე დღემდე აქვს. ხალხს რომ გაუძღვე, არ კმარა მხოლოდ პრაქტიკულ საქმიანობას ფლობდე, საჭიროა გონება გამიდიდრო იმ საუნჯით, რომელიც ამ წიგნებშია. ეს შექმა, რომელიც ნათელს მოჰფენს ბარეულს... და მიხეილმა გადაწყვიტა აღეკურვილიყო მოწინავე მდივნისათვის შესაფერი ცოდნით.

ხელმძღვანელობა შეიცვალა შემოდგომის დასაწყისში. ჩაის სეზონი უკვე დამთავრებული იყო. სიმინდის ალება დაიწყეს. არც ციტრუსის მოსავლიანობის გაზრდა შეიძლებოდა რაიმე გზით, რადგან ნაყოფი სიმწიფეში შედიოდა. ერთადერთ ამოცანად რჩებოდა მოსავალი უდანაკარგოდ აეღოთ და კარგი საფუძველი მოეშზადებინათ შემდგომი სამეურნეო წლისათვის, ე. ი. იმ სამეურნეო წლის საკოლმეურნეო საქმეში რაიმე გარდატეხის შეტანა შეუძლებელი იყო. კოლმეურნეთა ნაწილი კი ახალი გამგეობისაგან სასწაულებრივ ცვლილებას ელოდა.

ბიუროს ამსჯელა და გადაწყვიტა საერთო კრებაზე კამათში გამოსულიყო ბიუროს წევრთა უმრავლესობა. მსჯელი დაეჭირათ კოლმეურნეობის გამგეობისათვის. კოლმეურნეებზე ეზრუნა, ეკითხა, ეფიქრა, ეფიქრა, ეფიქრა ადამიანებზე, ეფიქრა ადამიანებზე, ეფიქრა ადამიანებზე.

ბიუროს ეს ფიქრი ბევრ ადამიანს ეჩვენებოდა ზედმეტ ფიქრად, ზედმეტ ფიქრად, ზედმეტ ფიქრად,

მსოფლიო დღეს

ᲙᲐᲜᲐᲓᲐ

ლექციას მონრეალში

ოტავა, 12 იანვარი. (საკდესი). კანადისა და საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის ვეტერანმა, კანადის კომუნისტური პარტიის ეროვნულმა თავმჯდომარემ ტიმ ბაკმა მონრეალში საჯარო ლექციას წაიკითხა თემაზე — ვ. ი. ლენინის რევოლუციური მოღვაწეობისა და შემოქმედებითი მემკვიდრეობის ისტორიული მნიშვნელობა ჩაგრულ ხალხთა განთავისუფლების საქმეში. ეს იყო პირველი ლექციათა და სემინართა სერიიდან მარქსისტულ-ლენინური მეცნიერების ხხვადასხვა ასპექტისა და ვ. ი. ლენინის შრომების შესახებ, რომლებსაც მომდინარე საუუბილეო წელს გამართავს კომპარტიის ვ. ი. ლენინის დაბადების ასი წლისთავის ზეიმის მომწყობი კომიტეტი.

ტიმ ბაკმა ილაპარაკა ვლადიმერ ილიას-ძის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე. ლენინმა, თქვა მან, უდიდესი წვლილი შეიტანა მარქსისტული მეცნიერების შემოქმედებითს განვითარებაში და დიდი როლი შეასრულა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მომზადებასა და განხორციელებაში და მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს შექმნაში.

ტიმ ბაკმა აღნიშნა უნივერსალობა ლენინის მოძღვრებისა საზოგადოების განვითარების შესახებ, დაახასიათა ვ. ი. ლენინი როგორც მსოფლიოს პროლეტარიატის ბელადი და ხაზი გაუსვა ლენინის გენიის დიად დამსახურებას მთელი საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის წინაშე. მან მოიწოდა კანადელ კომუნისტებს დაუცხრომლად იმუშაონ მეცნიერული მარქსისტულ-ლენინური თეორიის დაუფლებისათვის, გაავრცელონ ლენინის მოძღვრება კანადის მუშათა კლასის რიგებში, ინტელიგენციასა და ახალგაზრდობაში.

ᲜᲘᲖᲔᲠᲘᲐ

ფედერალური ჯარები უტევენ სეპარატისტებს

ლაგოსი, 12 იანვარი. (საკდესი). ნიგერიის აღმოსავლეთში სამხარეო მოძალადეების რაიონიდან მიღებული ცნობებით, ფედერალურმა ჯარებმა დაიპყრეს სეპარატისტთა ძირითადი დასაყრდენი ქალაქი ოვერი. ფედერალური არმიის ნაწილები ბრძოლებით იწევენ წინ ქალაქ უშუახისის მიმართულებით და ამავე დროს სამხრეთ მოწინააღმდეგის ალყაშემორტყმული ჯგუფების წინააღმდეგობის ცალკეულ კერებს.

როგორც ადგილობრივი და უცხოელი მეთვალყურენი ამბობენ, ფედერალურმა ჯარებმა შეტევის დროს სეპარატისტებს აგვეცა იმდენად საგრძნობი დარტყმა, რომ ისინი აღბათ ვერს ველარ მოვლენ. სეპარატისტთა ბანაკიდან მიღებული ცნობები მოწმობენ, რომ იქ პანიკა და გულგატეხილობა სუფევს. სეპარატისტთა ბევრი ლიდერი გაიქცა ნიგერიის ტერიტორიიდან. მათ შორის არის სეპარატისტული რეჟიმის მეთაური ოდუმეგეკუ ოჯუკუუ. ზოგიერთი უცხოელი კორესპონდენტი იმოწმებს ბიაფრის წყაროებს და ამტკიცებს, რომ ოჯუკუ გიიქცა ლიბრეკილში (გაბონი) და სეპარატისტთა ნაწილები, რომლებიც უკან იხევენ, დატოვა შტაბის უფროსს პოლკოვნიკ ფილიპ ეფიონეს.

ზედმეტი სისხლისღვრის თავიდან ასაცილებლად ნიგერიის ფედერალური მთავრობის მეთაურმა იაკუბუ გოვონმა სეპარატისტებს მოუწოდა დაეყარათ იარაღი და შეპირდა, რომ სიცოცხლეს შეუნარჩუნებდა. ამასთან მან გააფრთხილა უცხოეთის სახელმწიფოთა მთავრობები, აგრეთვე სხვადასხვა ორგანიზაცია და კერძო პირნი, რომ არ ჩაერიონ ნიგერიის შინაურ საქმეებში. მხოლოდ ამ გზით შეიძლება მაღე მოეღოს ბოლო იმ რაიონების მოსახლეობის ტანჯვას, რომლებიც ჯერჯერობით სეპარატისტთა ხელშია, ხაზგასმით აღნიშნა იაკუბუ გოვონმა.

საზღვარგარეთიდან მიღებული ცნობებით, ფედერალური ჯარების წარმატებებს ნიგერიის სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საქმეში აფრიკის მეტი წილი ქვეყნები დადებითად გამოეხმაურნენ.

ᲐᲤᲠᲘᲙᲘᲡ ᲨᲔᲛᲔᲠᲗᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲢᲐᲢᲔᲑᲘ

წარუმატებელი ცდა

ნიუ-იორკი, 12 იანვარი. (საკდესი). როგორც აერონავტიკისა და კოსმოსური სივრცის კვლევის ეროვნული სამმართველოს (ფლორიდის შტატი) წარმომადგენელმა კენედის კონცხიდან იუწყება, მარცხით დამთავრდა კავშირგაბმულობის თანამგზავრის „ინტელსატ-3"-ის გაშვების მორიგი ცდა.

გაშვების დროს მატარებელი რაკეტა ვერ მოწყდა სასტარტო ბაგანს. როგორც აერონავტიკისა და კოსმოსური სივრცის კვლევის ეროვნული სამმართველოს წარმომადგენელმა თქვა, რაკეტაში მოულოდნელად შეწყდა სათბობის ალების პროცესი.

უწინდელი კურსით

ვაშინგტონი, 12 იანვარი. (საკდესი). **ლეიბორისტული მთავრობა კვლავაც ახორციელებს მკაცრი ფინანსური შეზღუდვების პოლიტიკას ქვეყნის შიგნით, განაცხადა აქ მყოფმა დიდ ბრიტანეთის ფინანსთა მინისტრმა რ. ჯენკინსმა.**

გუშინ თავის გამოსვლაში ტელევიზიით ჯენკინსმა აღიარა, რომ გასულ წელს დიდი ბრიტანეთის საგადამხდელო ბალანსის გაუმჯობესება ძვირად დაუჯდა მოლოდინებთ ინგლისელს — იგი შიღწეულ იქნა გირვანქა სტერლინგის დევალვაციით 1967 წელს, გადასახადების გადიდებით, შინაგანი საბრუნავის ბიუჯეტებისათვის განკუთვნილი სახელმწიფო ხარჯების შემცირებით. მინისტრმა ხაზი გაუსვა, რომ ლეიბორისტული მთავრობა არ აპირებს მომავალ თვეებში ხელი აიღოს ხელფასის კონტროლზე, რაც საკანონმდებლო წესით ხორციელდება. მან განაცხადა, აგრეთვე, რომ ინგლისში გაგრძელდება ცხოვრების ღირებულების ზრდა და იწინასწარმეტყველა ფასების 2-2,5 პროცენტით გადიდება მიმდინარე წელს.

მცირდება შოგადოგა

ვაშინგტონი, 12 იანვარი. (საკდესი). განვლილი ათწლეულის მანძილზე შეერთებულ შტატებში 35 პროცენტით შემცირდა მობადობა. ამჟამად შობადობის დონე ქვეყანაში ყველაზე დაბალია ამერიკის შეერთებული შტატების მთელი ისტორიის მანძილზე. ვისკონსინის უნივერსიტეტის პროფესორის ნორმან რაიდერის გამოანგარიშებით, 1957 წელთან შედარებით, როცა აღინიშნა ომის შემდგომ პერიოდში მოსახლეობის უმაღლესი მატება — 253 კაცი ყოველ 10 ათას მცხოვრებზე, 1968 წელს 10 ათას მცხოვრებზე იბადებოდა მხოლოდ 174 კაცი. შემცირდა აგრეთვე ამერიკელთა ოჯახების წევრთა საშუალო რიცხვი. თუ წინათ ყოველ ათ ოჯახზე საშუალოდ მოდიოდა 33 ბავშვი, ამჟამად მოდის მხოლოდ 28 ბავშვი.

ᲛᲐᲮᲝᲚᲝᲓ

ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘ

ტელეტაიპის ლენტიდან

მეგობართა ბებმები

● **პრაღა,** 12 იანვარი. (საკდესი). ჩეხოსლოვაკიასაბჭოთა კავშირის მეგობრობის კავშირის ქალაქ პლზენის ორგანიზაციამ შეიმუშავა და დამტკიცა 1970 წლის ღონისძიებათა ფართო პროგრამა. ამ პროგრამაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობი წლის მთავარ მოვლენას — ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავსა და საბჭოთა არმიის მიერ ჩეხოსლოვაკიის განთავისუფლების 25 წლისთავს. ამ ღირსშესანიშნავი თარიღებისადმი მიძღვნილი საზეიმო კრებისა და მანიფესტაციების გარდა, პლზენში მოეწყობა მთელი რიგი გამოფენები, გაიმართება საზოგადოებრივი კონკურსები, კონცერტები საბჭოთა ხელოვნების ოსტატთა მონაწილეობით.

მთავრობის სხდომა კაიროში

● **კაირო,** 12 იანვარი. (საკდესი). აქ გაიმართა არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის სხდომა, რომელსაც პრეზიდენტმა გამალ აბდელ ნასერმა ეგვიპტის მთავრობის წევრებს გააცნო უმაღლეს დონეზე არაბული ქვეყნების რაბატის თათბირის მუშაობისა და ლიბიასა და სუდანში ვიზიტის შედეგები. ამას იუწყება მენის საგენტო.

ეროვნული ხელმძღვანელობის მინისტრმა მუჰამედ ფაიეკმა სხდომის დამთავრების შემდეგ განაცხადა, რომ მინისტრთა კაბინეტმა განიხილა აგრეთვე არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის სამხედრო და პოლიტიკური მდგომარეობა.

საპატიმროდან გაქცევა

● **პარიზი,** 12 იანვარი. (საკდესი). ათმა ესპანელმა პოლიტპატიმარმა გათხარა გვირაბი თავისი კამერის ქვეშ და გაიქცა ბალბაოს სატიმორიან. როგორც ფრანს პრესის სააგენტოს კორესპონდენტი იუწყება, გაქცეულნი ამჟამად საფრანგეთში იმყოფებიან და აპირებენ პოლიტიკური თავშესაფარი სთხოვონ საფრანგეთის მთავრობას. ათივე კაცი ბასკების ქვეყნის თავისუფლებისათვის მებრძოლთა აკრძალული ასოციაციის წევრია.

ᲤᲝᲢᲝᲓᲝᲙᲣᲛᲔᲜᲢᲔᲑᲘ ᲐᲛᲑᲘᲝᲗᲔᲑᲔᲜ

XX საუკუნის ბარბაროსობა

სამხრეთ ვიეტნამი. მსოფლიოს მოედო ცნობა იმის შესახებ, თუ როგორ მხეცურად გაუსწორდნენ ამერიკელი ინტერვენტები სოფელ სონგმის მშვიდობიან მცხოვრებლებს.

ამერიკის შეერთებული შტატების არმიის „კარისკაცებმა ბარბაროსულად მოსპეს სოფლის ყველა მცხოვრები: მოხუცები, ქალები, ბავშვები, მხოლოდ რამდენიმე კაცი შემთხვევით გადაურჩა ამ სისხლიან რბევას.

აგერ უკვე ხუთი წელიწადია, რაც ინტერვენტის მძიმე ჩექმა ვიეტნამის მინდვრებს თელავს. დამპყრობლები ვიეტნამის მიწაზე სიკვდილს, ნგრევას, მწუხარებასა და ცრემლს თესავენ. ათეულ და ასეულ ათასობით მოკლული და დაჭრილი, ნაპალმით დამწვარი და გაზით მოწამლული ადამიანები, ომის ხანძრით გადაბუგული და გათელილი ათასობით ჰექტარი მიწა, ადამიანთა უსაზღვრო ტანჯვა-ვაება — აი XX საუკუნის ბარბაროსობა დანაშაულის შედეგი.

მაგრამ ვერც ტერორი, ვერც მხეცობა ვერ გატეხს ვიეტნამელი ხალხის გამარჯვების რწმენას.

ვიეტნამელი ხალხი თავგანწირვით იბრძოლებს მშობლიური ქვეყნის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის.

●

სურათებზე: (ზემოთ) XX საუკუნის კონკისტადორს დასასჯელად მიჰყავს საქონელივით შეკრული სამხრეთვიეტნამელი პატრიოტები. (ქვემოთ) უსაზღვროა დიდ ციხ ქვეშ დარჩენილი ვიეტნამელი დედის ტრაგედია.

(საკდესის ფოტოქრონიკა).

სონგმი

გამონაკლისი როდია

ადასტურებენ ამერიკელი ჯარისკაცები

ამერიკის შეერთებული შტატების არმიის მე-4 კლასის სპეციალისტი უილიამ უაიტმაიერი მონაწილეობდა ოპერაცია „ძებნა და განადგურებაში" ვიეტნამის სოფელ ანხოის მახლობლად.

— ჩვენმა ქვეგანაყოფმა მაშინ მრავალი სამოქალაქო პირი დახვრიტა, — განაცხადა მან მონრეალში გამართულ მაკგილის უნივერსიტეტის სტუდენტთა შეხვედრაზე იმ ყოფილ ამერიკელ ჯარისკაცებთან, რომლებმაც თავშესაფარი კანადის მიწაზე ჰპოვეს.

— ჩვენ ბრინჯის ყანას ვზვერავდით. გლეხებმა რომ დაგვინახეს, გაქცევა დაიპირეს, მაგრამ ჯარისკაცებმა მათ სროლა აუტეხეს. შემდეგ ტანჯისტებმა უტიფარი სიცილით გვამების დათვლა დაიწყეს. მოკლულთა რიცხვმა სამოცს გადააჭარბა. მამაკაცებთან ერთად მრავალი ქალიც იყო.

უაიტმაიერი არმიიდან გაიქცა იმიტომ, რომ არ სურდა ამერიკის სახელმწიფო ბოროტმოქმედებათა თანამონაწილე ყოფილიყო.

— ხშირად თვით ამერიკელი ჯარისკაცები ხდებიან იმ მხეცობის მსხვერპლნი, რასაც მათი თანამემამულენი სჩადიან, — განაგრძობდა იგი, — ჩვენმა კაპიტანმა რაიმონდ ბაირდმა— ახლა იგი ალბათ უკვე მაიორია— თავისი ორი ჯარისკაცი მოკლა. პატაკში კი ჩაწერეს, რომ თითქოს ისინი მოულოდნელად აფეთქებული უუმბარის მსხვერპლი გახდნენ. ბაირდი დაუსჯელი დარჩა.

ოცდასამი წლის ყოფილმა სერჟანტმა ჯიმ უიკსმა, რომელიც პირველ ქვეით დივიზიონში ექთანად მსახურობდა, დამსწრეთ მოუთხრო ამბავი, რომელიც ვიეტნამის ერთ-ერთ სასოფლო რაიონში გამართულ მანეგრებში მათი შენაერთის მონაწილეობის დროს მოხდა.

— ჩვენი ნაწილი კაუჩუკის პლანტაციებში განლაგდა. გათენებისას დავინახეთ ბავშვების ჯგუფი, რომელიც ჩვენკენ მოემართებოდა. უცებ გზაზე მათ წინ აფეთქების ხმა გაისმა. მოვიხედე და მიეხედი, რომ ბავშვებს ერთ-ერთმა ჩვენმა ჯარისკაცმა ნაღმი ესროლა. ყველა ბავშვი დაიღუპა.

ოცდაერთი წლის ყოფილმა რიგითმა ჯარისკაცმა ჯეიმს მაკლინმა ილაპარაკა ომზე, თუ როგორ აწამებენ დაკითხვისას დატყვევებულ ვიეტნამელ პატრიოტებს.

— თუ ისინი ხმას არ ამოიღებენ, მათ უმალვე ხვრეტენ.

ამერიკელებმა ამხილეს, თუ როგორ ამზადებენ სონგმის მომავალ ჯალათებს, თუ როგორ ხორციელდება ახალგაზრდა ჯარისკაცთა „დამუშავება", რომლის მიზანია მათგან შეუბრალებელი და უგულო მკვლელების ჩამოყალიბება. ყველაფერი ემსახურება ამას, რომ ჯარისკაცები ვიეტნამელებში არ ხედავდნენ ადამიანს.

— ჩვენ რომ გვამზადებდნენ, გვეუბნებოდნენ, „ყველა გუკი" გამოუსადეგარია და ისინი უნდა გავწყვეტოთო, — განაცხადა უილიამ უაიტმაიერმა. — ჩვენმა ლეიტენანტმა ერთხელ გვითხრა: „ბიჭებო, როცა ვიეტნამელებზე ლაპარაკობთ, მინდა მესმოდეს, რომ თქვენ მათ გუკებს ან ბრტყელთავიანებს უწოდებთ. არა მსურს, რომ ვიეტნამელებს უწოდებდეთ".

ამერიკელმა ჟურნალისტმა რიჩერ უილიამსმა, რომელიც მაკგილის უნივერსიტეტში გამართულ შეხვედრას ესწრებოდა, 10 თვე დაყო ვიეტნამში, ამიტომ კარგად იცოდა, რომ შეხვედრაზე გამოსულთა სტუდენტი სრული ეშმარიტება იყო.

— ადამიანებმა უნდა იცოდნენ, რომ ასეთი რამ იქ მუდამ ხდება, — თქვა მან.— ერთხელ იმის მოწმეც კი გავხდი, თუ გავარჩევიშვილის მიზნით როგორ მოკლა ჩვენმა ჯარისკაცმა მოხუცი ვიეტნამელი გლეხი, რომელიც წყლის წასაღებად იყო მოსული. ასეთი „ინციდენტი" ხშირად ხდება და ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. როცა ლიდიციზე ვლაპარაკობთ, მას არ განვიხილავთ როგორც ფაშისტების მიერ დაშვებულ შეცდომას. ამდენად არც ცალკეული ამერიკელი ჯარისკაცები არიან დამნაშავე იმაში, რაც ვიეტნამის მიწაზე ხდება. მთავარი დანაშაული ის არის, რომ ამერიკელ ჯარისკაცებში კაცთმოძულეობის სულისკვეთების „ეპიდემია" კატასტროფულ მასშტაბებს აღწევს.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲐᲒᲔᲜᲢᲝᲡ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ.

ᲚᲐᲝᲡᲘ

ხალხის მოთხოვნა

ვიენტიანი, 12 იანვარი. (საკდესი). **შეერთებული შტატები უკვე 15 წელია ეწევა ლაოსის წინააღმდეგ აგრესიას ეგრეთ წოდებული „განსაკუთრებული ომის" ფორმით, ბარბაროსულ დანაშაულობებს სჩადის ლაოსელი ხალხის წინააღმდეგ, განაცხადა კაოსან პატეტლაოს საგენტოს კორესპონდენტისათვის მიცემულ ინტერვიუში ლაოსის პატრიოტული ფრონტის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა და ლაოსის შესახებ ჟენევის 1962 წლის შეთანხმებათა შესრულების ეროვნული კომისიის წევრმა ფუმი ვონგვიტატმა.** ამერიკის შეერთებული შტატები იყენებს „მწვანე ბერეტების" ქვეგანაყოფებსა და ტაილანდის ნაწილებს, აძლიერებს ლაოსის განთავისუფლებული ზონების დაბომბვას, რომლებიც პატრიოტული ძალების კონტროლს ექვემდებარება, და ასე აფართოებს ამ „განსაკუთრებულ ომს", აღნიშნა ფ. ვონგვიტატმა ინტერვიუში, რომელიც ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტომ გადასცა.

ლაოსის პატრიოტული ფრონტი პატიჟს სცემს ლაოსელი ხალხის მისწრაფებას მშვიდობიანობისა და ეროვნული დამოუკიდებლობის ბრძოლაში საფუძველზე და დაუცხრომლად ესწრაფვის ლაოსის საკითხის გონივრულ და სამართლიან ბოლოსალიგებას, ხაზი გაუსვა მან. ჩვენ მიგვაჩნია, რომ შეერთებულმა შტატებმა უნდა შეწყვიტოს ჩარევისა და აგრესიის ყოველგვარი აქტი, რათა შეიქმნას ყოველსასურველი გითარება, რომელშიც ლაოსელი ხალხი შეძლებს თვითონ გადაწყვიტოს თავისი საქმეები ლაოსის შესახებ ჟენევის 1962 წლის შეთანხმების საფუძველზე.

ᲡᲐᲥᲠᲐᲜᲗᲕᲔᲗᲘ

სსრ კავშირის შეკვეთით

დიუნკერკი, 12 იანვარი. (საკდესი). **აქ გაიმართა სატრანსკონტინენტალური რეფრიჟერატორული „ონეფსკი ზალივის" ფუალში ჩაშვების ცერემონია.** ეს რეფრიჟერატორი აშენდა საბჭოთა კავშირის შეკვეთით. ცერემონიას დასწრო საბჭოთა საელჩოსა და სავაჭრო პალატის დელეგაცია სსრ კავშირის პარიზელი ელჩის ვ. ა. ზორინის მეთაურობით. შემდეგ გამართულ დარბაზობაზე სიტყვები წარმოთქვეს საფრანგეთის სავაჭრო გაერთიანებათა მთელმა რიგმა წარმომადგენლებმა, რომლებმაც აღნიშნეს, თუ რამდენად ხელსაყრელია სსრ კავშირისა და საფრანგეთის სავაჭრო-ეკონომიური ურთიერთობის განვითარება. ვ. ა. ზორინმა გამოთქვა კმაყოფილება ორი ქვეყნის სავაჭრო და ეკონომიური ურთიერთობის განვითარების გამო.

ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐ

აღშფოთება მატულობს

ბონი, 12 იანვარი. (საკდესი). **„ახალგაზრდა დემოკრატთა" ჰამბურგის კონფერენციის დელეგატებმა მოითხოვეს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრის ჰელმუტ შმიდტის გადადგომა.** მათ მოითხოვეს აგრეთვე ბუნდესვერის სახმელეთო ჯარების ინსპექტორის (სარდლის) გენერალ შნეიცისა და იმ პროპაგანდისტული მანქანის ხელმძღვანელის გენერალ კარსტის გადადგომა, რომელიც ბუნდესვერის სამხედრო მოსამსახურეთა იდეოლოგიურ დამუშავების „ეწარმოებს.

რამდენიმე თვის წინათ შნეიცმა, წარსულში გერმახტის პოლკოვნიკმა, ხელი მოაწერა დოკუმენტს, რომელიც მოითხოვს ნაცისტური გერმახტის „ტრადიციების" აღორძინებას, გენერალიტეტის გავლენის გაძლიერებას, რეპრესიულ ღონისძიებათა განხორციელებას გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მილიტარიზაციის მოწინააღმდეგეთა მიმართ.

მიუხედავად იმისა, რომ შნეიცის გადადგომა მოითხოვეს აგრეთვე ბუნდესტაგის დეპუტატებმა მმართველი სოციალ-დემოკრატიული პარტიისაგან, თავდაცვის მინისტრმა ჰ. შმიდტმა (გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტია) ხელი დააფარა გენერალს. მან უარი თქვა შნეიცის გადაყენებაზე და აშით მხარი დაუჭირა პოზიციას, რომელიც დაიკავეს ქრისტიანულ-დემოკრატიულმა კავშირმა-ქრისტიანულ-სოციალურმა კავშირმა და შპრინგერის რეაქციულმა პრესამ.

ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐ

ᲤᲝᲠᲢ - ᲙᲘᲠᲡᲘᲡ ᲛᲐᲮᲚᲝᲑᲚᲐᲓ

◆

ᲕᲔᲛᲐᲙᲗᲐ ᲗᲕᲘᲗᲛᲤᲚᲝᲑᲔᲚᲝᲑᲐ

ნიუ-იორკი, 12 იანვარი. (საკდესი). 150-მდე ვეშაპი-„პიგმეი" (მათი სიგრძე 4 მეტრს აღწევს, წონა 400 კილოგრამია) გამოვიდა გუშინ ქვეშიან სანაპიროზე ქალაქ ფორტ-პირსის მახლობლად (ფლორიდის შტატი). სანაპირო დაცვამ და მოხალისეებმა ადგილობრივ მცხოვრებთაგან სცადეს ცხოველების გადარჩენა, მაგრამ ვეშაპები დაიღუპნენ. იუნაიტედ პრეს ინტერნეშნლის საგენტოს კორესპონდენტის სიტყვით, ვეშაპები, „როგორც ჩანს, თავის მოსაკლავად გამოვიდნენ". ვეშაპთა გადარჩენის ოპერაციამ ნაშუადღევიდან გვიან ღამემდე გასტანა, მაგრამ წარუმატებლად. რამდენიმე ცხოველის დაჭამანდება მოახერხეს სანაპირო დაცვის მეზღვაურებმა და საგუშაგო კატარღებზე მყოფმა პოლიციელებმა. ვეშაპები გიიყვანეს გაწყლილ ოკეანეში, მაგრამ, როგორც კი თავი დააღწიეს ქამანდს, მაშინვე ნაპირისაკენ გაბრუნდნენ და პლაჟის ქვიშაზე გაგიდნენ.

ამერიკის საინფორმაციო სააგენტოები აღნიშნავენ, რომ ვეშაპთა „თვითმკვლელობის" ეს შემთხვევა ყველაზე მასობრივი უკანასკნელი რამდენიმე წლის მანძილზე. ამ მოვლენის მიზეზები ჯერჯერობით გაურკვეველია.

12 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ

ᲧᲝᲕᲔᲚᲘ ᲛᲮᲠᲘᲓᲐᲜ

ᲠᲐᲖᲔ ᲬᲔᲠᲡ ᲣᲪᲮᲝᲗᲘᲡ ᲞᲠᲔᲡᲐ

პოლონეთისა და ჩეხოსლოვაკიის გაზეთები კომენტარს უძღვნიან ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის ო. ჩერნიკის პოლონეთში ვიზიტის შედეგებს. „პოლონეთ-ჩეხოსლოვაკიის მოლაპარაკებამ, — წერს „ტრიბუნა ლუდუ", ერთხელ კიდევ დაადასტურა ამური ხასიათი სახალხო პოლონეთის ურთიერთობისა სამხრეთ ევროპელთან და შეხედულებათა სრული დამთხვევა ყველა განხილულ პრობლემაზე".

ჩეხოსლოვაკიის „რუდე პრავო" აღნიშნავს, რომ ო. ჩერნიკის ვიზიტის ერთ-ერთი მიზანი იყო ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ეკონომიური თანამშრომლობის შემდგომი განმტკიცება.

საზღვარგარეთის პრესა დიდ ადგილს უთმობს მასალებს ნიგერიის ფედერალური ჯარების დიდი შეტევის შესახებ, **რომლებმაც ხელთ იგდეს ქალაქი ოვერი, სეპარატისტთა დედაქალაქად რომ ითვლებოდა.** იუწყებიან, რომ ბიაფრელ სეპარატისტთა ლიდერი ოდუმეგეკუ ოჯუკუ გაურკვეველი მიმართულებით გაემგზავრა. „ორნახევარი წლის სისხლისმღვრელი ომის შემდეგ ბიაფრის ავანტიურა თითქოს მთავრდება", წერს ფრანგული „ლუმანიტე". გაზეთი ამტკიცებს იმპერიალისტურ სახელმწიფოთა როლს ამ კონფლიქტის გაღვივებაში.

ლონდონის „ტაიმსი" ეხება ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის გადაწყვეტილებას მთლიანად განაახლოს სამხედრო მიწოდებანი სახერძნეთის ხუნტისადმი. გაზეთის სიტყვით, ამერიკის ახლანდელი პოლიტიკა ათენელი პოლკოვნიკების მიმართ მოასწავებს „უსიტყვო თანხმობას იმაზე, რომ ეს რეჟიმი არ აპირებს რაიმე ნაბიჯი გადადგას დემოკრატიზაციისათვის".

საზღვარგარეთის პრესა ბევრ ორგანო აღნიშნავს, **რომ ისრაელში ანტიფრანგული კამპანია მიმდინარეობს საფრანგეთსა და ლიბიას შორის დადებულ შეთანხმებასთან დაკავშირებით.** ამერიკელ „ნიუ-იორკ დეილი ნიუსი" თავის მხრივ მხარს უჭერს ისრაელის ამ გამოსვლებს საფრანგეთის წინააღმდეგ.

გაზეთები ათავსებენ ნეკროლოგებს სახელოვანი საბჭოთა კოსმონავტი შფრინავის ჰ. ი. ბელიაევის გარდაცვალებასთან დაკავშირებით. (საკდესი).

ᲡᲐᲥᲠᲐᲜᲗᲕᲔᲗᲘ

სსრ კავშირის შეკვეთით

დიუნკერკი, 12 იანვარი. (საკდესი). **აქ გაიმართა სატრანსკონტინენტალური რეფრიჟერატორული „ონეფსკი ზალივის" ფუალში ჩაშვების ცერემონია.** ეს რეფრიჟერატორი აშენდა საბჭოთა კავშირის შეკვეთით. ცერემონიას დასწრო საბჭოთა საელჩოსა და სავაჭრო პალატის დელეგაცია სსრ კავშირის პარიზელი ელჩის ვ. ა. ზორინის მეთაურობით. შემდეგ გამართულ დარბაზობაზე სიტყვები წარმოთქვეს საფრანგეთის სავაჭრო გაერთიანებათა მთელმა რიგმა წარმომადგენლებმა, რომლებმაც აღნიშნეს, თუ რამდენად ხელსაყრელია სსრ კავშირისა და საფრანგეთის სავაჭრო-ეკონომიური ურთიერთობის განვითარება. ვ. ა. ზორინმა გამოთქვა კმაყოფილება ორი ქვეყნის სავაჭრო და ეკონომიური ურთიერთობის განვითარების გამო.

ᲗᲣᲠᲥᲔᲗᲘ

ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ ᲠᲔᲙᲝᲛᲔᲜᲓᲐᲪᲘᲘᲗ

სტამბული, 12 იანვარი. (საკდესი). თურქეთის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ ქვეყანაში ფართოდ დანერგვისათვის რეკომენდაცია მისცა საბჭოური ხორბლის ჯიშს „უფეხო-1"-ს. ამ ხორბლის საცდელმა ნაკვეთებმა უკანასკნელი წლების მანძილზე თურქეთში კარგი შედეგები მოიტანა. საბჭოთა ხორბალი დაითესება, კერძოდ, დიდ ფართობებზე თრაკიაში, ცენტრალურ და აღმოსავლეთ ანატოლიაში.

ამავე დროს თურქეთმა, წერს გაზეთი „ენი გაზეტე", უარი თქვა ხორბლის ამერიკულ ჯიშზე „სონორ-64"-ზე, რომელიც ადგილად ითვისებს სასოფლო-სამეურნეო დაავადებებს.

ᲤᲝᲢᲝᲓᲝᲙᲣᲛᲔᲜᲢᲔᲑᲘ ᲐᲛᲑᲘᲝᲗᲔᲑᲔᲜ

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

საქართველოს ქთა და ბაკში

კვლავ სკოლისაკენ

გუშინ, 12 იანვარს მოსწავლეთა ერიამლამა კვლავ აახმიანა ჩვენი სკოლები — დამთავრდა ბავშვებისათვის სანატრელი დრო, საზაფხოო არდადეგები.

მხიარულად დაემშვიდობნენ პატარები ათასფერი სათამაშოებით გაბრწყინებულ საახალწლო ნაძვისხეებსა და თოვლის პაპას. მათ ტკბილ მოსაგონრად დარჩებათ ნაძვისის გარშემო გამართული ზეიმი, რომელიც არდადეგების დღეებში ეწყობოდა ჩვენი რესპუბლიკის კლუბებსა და კულტურის სასახლეებში, სკოლებსა და პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში. ცენტრალური საქალაქო ნაძვისხე კი სპორტის სასახლეში იყო მოწყობილი.

სულ ნაძვისხის ზეიმში მონაწილეობა მიიღო ნახევარ მილიონზე მეტმა ბავშვმა.

ბევრმა არდადეგების დღეები გაატარა პიონერთა გამოჯანსაღებელ ბანაკებში, რომლებიც მოწყობილი იყო რესპუბლიკის საუკეთესო კურორტებზე.

არდადეგების დღეებში მოსწავლეებისათვის ეწყობოდა ექსკურსიები, ტურისტული მოგზაურობანი, შეხვედრები გამოჩენილ ადამიანებთან, სპორტული შეჯიბრებები და სხვ.

გუშინ კი მოსწავლეები კვლავ მიუსხდნენ მერხებს, დაიწყო ახალი, 1970 სასწავლო წელი, ყველაზე მნიშვნელოვანი მესამე მეოთხედი.

ბეჯით სწავლასა და შრომას გისურვებთ, ჩვენო პატარებო!

თუზელთა საჩუქარი

საქმიანი ურთიერთობა აკავშირებს სოფელ თუზისა და ვოლგოგრადის № 108 საშუალო სკოლების პიონერ-მოსწავლეებს. ვოლგოგრადელმა მოსწავლეებმა ამას წინათ თუზელებს გამოუგზავნეს ფოტოალბომი, რომელშიც ასახულია ვოლგოგრადელ მოსწავლეთა ცხოვრება და საქმიანობა, კლასგარეშე თვითმოქმედება. ახლახან ვოლგოგრადიდან კვლავ მოვიდა ბარათი. № 108 საშუალო სკოლის მოსწავლეები იწერებოდნენ: „ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავთან დაკავშირებით მოვაწყეთ ოთახი — „სტალინგრადის გმირი დამცველები". გთხოვთ დაგვეხმაროთ და მოგვაწოდოთ მასალები იმათ შესახებ, ვინც თქვენი სოფლიდან მონაწილეობდა სტალინგრადისათვის ბრძოლაში, მოგვწერეთ, სწავლასა და შრომაში როგორი მიღწევებით ხვდებით დიად იუბილეს, როგორ უყლით საცდელ ნაკვეთებს... თუზელებმა სხვა საჩუქრებთან ერთად ალბომიც გაუგზავნეს ვოლგოგრადელ მოსწავლეებს.

ჯ. კაპანაძე.

სოფლის მუზეუმი

თელავი. (საკ. კორ.). რამდენიმე წელია, რაც სოფელ ჩხარში შეიქმნა მხარეთმცოდნეობის მუზეუმი. ამ კეთილშობილურ წამოწყებაში გარკვეული წვლილი მიუძღვით სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს კ. ებულაძეს და საშუალო სკოლის ისტორიის მასწავლებელს ალ. ბუცხრიკიძეს, რომელიც საზოგადოებრივ საწყისებზე უძღვება მუზეუმს.

მხარეთმცოდნეობის მუზეუმი მდიდრდება ახალი ექსპონატებით. უძველესი ხანის იარაღები გადასცა მუზეუმს ამ სოფლის მკვიდრმა, საქართველოს სსრ დამსახურებულმა აგრონომმა ნ. ზარნაძემ. ასევე იქცევიან მასწავლებლები, მოსწავლეები.

მარტო გასულ წელს მუზეუმი ინახულა ხუთი ათასამდე ტურისტმა, რომლებიც აქ ჩვენი სამშობლოს შორეული კუთხეებიდან ჩამოდიან.

მესხიშვილის თეატრის პრემიერა

ქუთაისი. (საკ. კორ.). ლ. მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრმა მაყურებელს სეზონის მორიგ პრემიერად უჩვენა ს. ამბროზის კომედია „ბიუროკრატოზაპრმები" (თარგმანი გ. გაფრინდაშვილისა).

სპექტაკლი დადგა რეჟისორმა მ. ფურცხვანიძემ, მხატვრობა გეკუთვნის ა. ბრანოვერს, ქორეოგრაფია მ. მაჭარაძე. მთავარ როლებს ასრულებენ რესპუბლიკის სახალხო არტისტი ვ. მეგრელიშვილი, დამსახურებული არტისტები — კ. აბესაძე, თ. დვინიაშვილი, ვ. გვენცაძე, გრ. ნაცვლიშვილი, მსახიობები — გ. ბერძენი, რ. ბოკუჩავა, ფ. გულედანი, ლ. ვაშაკიძე.



ДЕЛЕ БАКУРИАНИ

თოვლიან ბილიკებზე

ზღაპრულია ბაკურიანის სილამაზე ზამთარში. იგი სპორტის ზამთრის სახეობათა ბევრ მოყვარულს იზიდავს. აქ მოდიან რომ ციგებითა და თხილამურებით ისრიალონ, ზამთრის სუფთა ჰაერი ისუნთქონ. მოდიან იმისთვისაც, რომ ივარჯიშონ პასუხსაგებ შეჯიბრებებში გამოსვლისათვის. სულ მალე (18 იანვარს) აქ, ბაკურიანის ახალ დიდ ტრამპლინზე მოეწყობა სსრ კავშირის თასის გათამაშება თხილამურებით ხტომაში. შეჯიბრებაში მონაწილეობას მიიღებს სახელგანთქმული „მფრინავი" მოთხილამურე კოტა ნაქაძეც. შემდეგ 29 იანვრიდან 2 თებერვლამდე ჩვენი ქვეყნის უძლიერესი მორბენალნი გაითამაშებენ სსრ კავშირის თასს, ამავე დროს თავიანთ ოსტატობას უჩვენებენ მოსკოვის, ლენინგრადისა და საქართველოს უძლიერესი სამთო მოთხილამურენი. 3-დან 8 თებერვლამდე კი ბაკურიანში გაიმართება ჩვენი რესპუბლიკის III საზამთრო სპარტაკიადა.

მაგრამ არა მარტო მოთხილამურეები მოეშურებიან ამ დღეებში ბაკურიანში.

შეიესო რესპუბლიკის თოვლიანი დედაქალაქის საცხოვრებელი ფონდიც. აქ მწყობრში ჩადგა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის პანსიონატი „სპორტი". იგი ნავარაუდევია 200 კაცი სათვის.

სურათებზე: მარცხნივ ზემოდან — სპორტის ოსტატი სამთო სათხილამურო სპორტში საქართველოს ჩემპიონი ლ. ბოგოლაძე; ქვემოთ — ბაკურიანის ერთ-ერთი გუთხე; მარჯვნივ ზემოდან — გიგანტური სლალომის ტრასაზე; ქვემოთ — „პლაჟი" კოხტა გორის მწვერვალზე.

ტექსტი და ფოტო ბ. კამენსკისა.

ПЕРВЫЙ МАТЧ: МЕХИКА — СССР КАВШИРИ

მეხიკო: 11 იანვარი. (საკდეხი). ფებბურთში მეცხრე მსოფლიო ჩემპიონატს 31 მაისს „აცტეკის" სტადიონზე გახსნიან მექსიკისა და სსრ კავშირის ნაკრები გუნდები. აქ გამართული წილისყრის შედეგად ეს გუნდები ბელგიისა და სალვადორის ფეხბურთელებთან ერთად შევიდნენ პირველ ჯგუფში, რომლის შეხვედრები მოეწყობა დედაქალაქის სტადიონზე, 1968 წლის ოლიმპიური ასპარეზობის მთავარ სტადიონზე.

აი როგორ განაწილდნენ წილისყრის შედეგად დანარჩენი ჯგუფების მონაწილენი:

მეორე ჯგუფი: ურუგვაი, ისრაელი, იტალია და შვეიცია.

მესამე ჯგუფი: რუმინეთი, ინგლისი, ჩეხოსლოვაკია და ბრაზილია.

მეოთხე ჯგუფი: პერუ, ბულგარეთი, მაროკო და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა.

მექსიკური კვარტეტები

კიდევ ერთმა მეტად მეელვარე დღემ განვლო დიდ ფეხბურთში. ეს მოხდა მეხიკოს „მარია ისაბელას" სასტუმროს დიდ დარაბაზში, სადაც მთავარ როლს ასრულებდა მექსიკის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის 10 წლის გოგონა მონიკა მარია კანდრო. ამასთან დაკავშირებით ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტმა სტენლი როუზმა შენიშნა, ჟიულ რიმეს თასის ბედი სწორედ ამ გოგონას ხელშიაო.

და მართლაც, ამ გოგონას მიერ ამოღებულმა ნომრებმა გადაწყვიტა ჯგუფებში გუნდების განაწილების ბედი.

როგორი გამოდგა საბჭოთა ნაკრებისათვის წილისყრა?

ამ კითხვაზე ჩვენი გუნდის უფროსი მწვრთნელი ბ. კაპალინი ასე უპასუხებს:

ვფიქრობ, წილისყრის შედეგით საბჭოთა ფეხბურთელები და მათი თაყვანისმცემლები კმაყოფილი უნდა იყონ. მართალია, პირველი ჯგუფი თავის შემადგენლობით არცთუ სუსტია, მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ არც ყველაზე ძლიერია. თუ დაგვაგეწყდება ისიც, რომ ჩვენ დასაწყისშივე მეტად პასუხსაგები სპორტული დავა მოგველს „აცტეკის" სტადიონზე, რომელიც ასი ათასზე მეტ მაყურებელს იტევს, მასპინძლებთან — მექსიკელ ფეხბურთელებთან, რომლებსაც ცოტა გულშემატკივარი როდი ეყოლება. და, ბოლოს, საკუთარ კედლებსაც ხომ გარკვეული მნიშვნელობა აქვს!

ცხადია, არც ბელგიისა და სალვადორის გუნდებია ნაკლებად საშიში. თუ გავიხსენებთ, ევროპის მეოქვსე შესარჩევ ჯგუფში ბელგიელებმა ხომ ფინალისაკენ მიმავალი გზა გადაუღობეს ფეხბურთის ისეთ აღიარებულ ქვეყნებს, როგორიც ესპანეთი და იუგოსლავიაა. რაც შეეხება სალვადორის ნაკრებს, იგი ჩვენი ფეხბურთელებისათვის ჯერჯერობით ნაკლებად არის ცნობილი. მექსიკის ნაკრები, როგორც მსოფლიოს მეცხრე პირველობის მასპინძელი, შესარჩევ შეხვედრებში არ მონაწილეობდა, ამიტომ მის პოტენციალზე უნდა ვიმსჯელოთ იმ საერთაშორისო მატჩების მიხედვით, რომლებიც მექსიკელებს შარშან ჰქონდათ. საბჭოთა და მექსიკელი ფეხბურთელები კი ორჯერ შეხვდნენ ერთმანეთს „აცტეკის" სტადიონზე 1968 წელს და ორივე შეხვედრა ფრედ (0:0) დამთავრეს.

□

ნ. ალექსანდრია ჰოლანდიაში გაემგზავრა

გუშინ თბილისიდან მოსკოვში გაფრინდა სსრ კავშირის სამგზის ჩემპიონი ნ. ალექსანდრია, რომელიც მეემგზავრება ჰოლანდიაში. აქ, ქალაქ ბეევრვიეკში დიდი ტრადიციული საახალწლო ფესტივალი ეწყობა.

ნ. ალექსანდრია, რომელიც საერთაშორისო ტურნირებში 1964 წლიდან მონაწილეობს, ბირველად ითამაშებს ბეევრვიეკში. სხვადასხვა დროს ამ ფესტივალის ქალთა ტურნირებში ასპარეზობდნენ მსოფლიოს ჩემპიონი ნ. გაფრინდაშვილი, ა. კუშნირი, ტ. ზატულოვსკაია და სხვა გამოჩენილი მოჭადრაკეები. ჩვეულებრივ ასეთ შეჯიბრებაში 10-12 ევროპელი ოსტატი გამოდის.

ასპარეზობათა პანორამა

● თბილისელმა ჩოგბურთელმა ნინო თუხარელმა ინდოეთის ღია ჩემპიონატის ფინალში დამამცხა იუგოსლავი ი. სკული 6:4, 6:4 და პირველი ადგილი დიაკავა.

● **გუშინ** მოსკოვში დედაქალაქის დინამოელებმა დამამცხეს სსრ კავშირის ჩემპიონი ნ. ალექსანდროვა 26:12. კიევის „სპარტაკი" ნახევარფინალში გავიდა.

ოპერაცია «ტელეფონი» ჩაიშალა

სასამართლოს დარბაზიდან

ლობორც კრ თბილისში, გურამიშვილის ქუჩაზე ორი კოოპერატიული ამხანაგობის „ხელოვნების მუშაკისა" და „მესამე სამობიარო სახლის" მშენებლობა დასრულდა, მათ შუა, ნეიტრალურ ზონაში აღმართულ ბოძზე ლამაზად წარწერილი განცხადება გაჩნდა. ვაქვეყნებთ მის ტექსტს უცვლელად:

„მოქალაქეთა საყურადღებოდ! იმ მოქალაქეებმა, რომლებმაც მოაწერეს ხელი ტელეფონების დადგმაზე, გთხოვთ საჩქაროდ შეიტანოთ აღნიშნული თანხა, უკანასკნელი დრო 10 ოქტომბერი. წინააღმდეგ შემთხვევაში ამოღებული იქნებიან სიიდან. მსურველებს შეუძლიათ კიდევ ჩაეწეროთ 10 ოქტომბრამდე (ცნობებისათვის მიმართეთ თავმჯდომარეს). გამგეობა".

მკითხველები ამბობდნენ: ნეტავ რომელი გამგეობა აცხადებდა ამას? ორივენი. „ხელოვნების მუშაკის" კოოპერაციული მშენებლობის გამგეობის თავმჯდომარე იყო თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორიის დოცენტი მ. კახიანი, ხოლო „მესამე სამშობიარო სახლის" კოოპერაციული მშენებლობის გამგეობის თავმჯდომარე — თბილგაზის სამმართველოს პირველი მაისისა და ოქტომბრის რაიონების პროფილაქტიკური სამსახურის უფროსი ინჟინერი ა. გელაშვილი. მათ ყოველგვარი საკითხების, განსაკუთრებით მობინადრეთა ტელეფონებით უზრუნველყოფის დარგში ფასდადებული დამსახურებას უწევდა კოოპერაციული ამხანაგობა „ხელოვნების მუშაკის" გამგეობის წევრი — სასტუმრო „ცირკის" მორიგე ე. აგლაძე.

გადაიდგა პირველი ნაბიჯები. სამიავენი სასწრაფოდ დაუკავშირდენ თბილისის ხანძარსაწინააღმდეგო ავტომატიკის სპეციალიზებული სამნაწილა სამმართველოს სამუშაოთა მწარმოებელს გ. თუთბერიძეს, შემდეგ საერთო ენა გამონახეს 26 კომისრის რაიონის სატელეფონო კვანძის უფროს ა. მათიაშვილთან, რომელმაც სრულიად საიდუმლო თათბირზე ჭირსა და ლხინში ერთად ყოფნის დასტური მიიღო ჯერ თბილისის სატელეფონო ქსელის სამმართველოს მთავარ ინჟინერ დ. ხაფავასაგან, ხოლო შემდეგ თბილისის სატელეფონო ქსელის სამმართველოს უფროს გ. სოფრომაძისაგან.

საიდუმლო თათბირი, რომელიც საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს შენობაში შედგა, ხანმოკლე იყო. დაიწყო ოპერაცია „ტელეფონის" მოქმედება. კომბინატორებმა გადაწყვიტეს: „ხელოვნების მუშაკისა" და „მესამე სამშობიარო სახლის" ბინებში 81 ჯოხისათვის სწრაფად დაედგათ ტელეფონები, რომელთა გამოყვანის ხარჯებს გაიღებდნენ თვით ამხანაგობის წევრები, ხოლო შვიდი ათასი მანეთი ქრთამის სახით უნდა ჩაებარებინათ გ. სოფრომაძის ჯგუფისათვის.

დაუწერელი ხელშეკრულების აღსანიშნავად მეგობრებმა თბილისის ზღვაზე ბანკეტიც გამართეს, რომელშიც მეტად გულთბილ, მეგობრულ და ურთიერთგაგების ვითარებაში ჩაიარა.

მეორე დღესვე ზემოთ დასახელებულ ამხანაგობათა თვითეული წევრისაგან 200 მანეთი მოაგროვეს, სულ 13.900 მანეთი. აქედან „გ. სოფრომაძეს, დ. ხაფავას და ა. მათიკაშვილს 6.000 მანეთი გამოუყვეს. ა. მათიკაშვილმა, რომელმაც დასახელებული თანხა წაიღო ძმაკაცებისათვის გადასაცემად, გახსნესა ქართული ანდაზა: ქერდის ქურდი ცხონებულიაო, და სოფრომაძესა და ხაფავას მხოლოდ 2.500 მანეთი მიაროვა.

გაიცა სასწრაფო განკარგულებანი ტელეფონების დასადგმელად, მაგრამ ცოტა არ იყოს, საქმე შეუფერხდაო, კაბელის შოვნა გაუჭირდათ. მოხერხებულმა კაცმა თუთბერიძემ (ასე ეძახდნენ მეგობრები) სამუშაოს უფროსს გ. ტელეფონო ქსელის სამმართველოს ოპერატორი ა. კიკვაძე ვაჟა ფშაველას პროსპექტზე მეორე კვარტალის 36 კორპუსში მცხოვრებს ა. მამულაშვილს დაუკავშირდა, თოთხმეტი მობინადრისაგან 2.800 მანეთი აიღო, რაც კიკვაძემ და სოფრომაძემ გაინაწილეს.

ოპერატორმა ა. კიკვაძემ ერთგულებით და მოხერხებულობით გაახარა უფროსები — სოფრომაძე და ხაფავა.

ა. კიკვაძემ კოოპერაციის ქუჩაზე № 14 სახლში მცხოვრებ მღებავ ვ. არუთინიანს 200 მანეთი გამოართვა ტელეფონის დადგმისათვის. ეს თანხა კიკვაძემ მთავარ ინჟინერს დ. ხაფავას გაუყო.

როგორც კი ეს ფაქტი კოლექტივიზაციის ქუჩაზე მცხოვრებმა ნ. მამედოვამ და ნ. ჰაპუაშვილმა შეიტყეს, სწრაფად მონახეს თეთრთმიანი კეთილი ადამიანი (ასე შეარქვეს კლიენტებმა ა. კიკვაძეს), მისცეს მას 450 მანეთი. აქედან სამასი მანეთი მიიღო სოფრომაძემ. მესამე დღეს კი ტელეფონები ზემოაღნიშნულ კლიენტთა ბინებში აწყრიალდა...

ხანგამოშვებით ა. კიკვაძე უფროსისადი ხელმრუდეობასაც კი იჩენდა. მაგალითად, რიცა არბოს ქ. № 2 მცხოვრებ ა. სემეონოვს ტელეფონის დასადგმელად 200 მანეთი გამოართვა, გაიტრუნა, თანხა არავის გაუყო.

მალე მექრთამეთა ბრბოს სატელეფონო ქსელის განვითარების საამქროს უფროსი თ. ფანჩულიძე შეუერთდა. სულხან-საბა ორბელიანის ქუჩაზე მცხოვრებ ვაჭრობის მუშაკ ა. აჯიაშვილთან ადგილად გამონახა საერთო ენა, ტელეფონი სასწრაფოდ დაუდგა და ხუთასი მანეთიც გამოართვა. აქედან სამასი მანეთი ჩაბარა გ. სოფრომაძეს, ორასი თვითონ დაიტოვა.

ანსად არ მუშაობდა ი. შალვაშვილი (კანდელაკის ქ. № 35), როცა ტელეფონის დადგმა მოისურვა. მან სატელეფონო ქსელის სამმართველოს სამინტაჟო განყოფილების თანამშრომელს თ. პეტრიაშვილს 500 მანეთი მიუტანა, პეტრიაშვილმა კი თავის მხრივ ეს თანხა ა. მათიკაშვილს გადასცა, მათიკაშვილმა 300 მანეთი ხაფავას მიართვა, და შალვაშვილის ბინაზეც ტელეფონმა დაიწკარუნა.

კოჯრის ქ. № 1 მცხოვრებ, ვაჭრობის მუშაკს საქონელმცოდნეს გ. ლუარსაბიშვილს თ. ფანჩულიძემ სამასი მანეთი გამოართვა, აქედან ორასი მანეთი ტელეფონის ქსელის სამმართველოს ოპერატორ ა. კიკვაძე ვაჟა ფშაველას პროსპექტზე მეორე კვარტალის 36 კორპუსში მცხოვრებს ა. მამულაშვილს დაუკავშირდა, თოთხმეტი მობინადრისაგან 2.800 მანეთი აიღო, რაც კიკვაძემ და სოფრომაძემ გაინაწილეს.

ოპერატორმა ა. კიკვაძემ ერთგულებით და მოხერხებულობით გაახარა უფროსები — სოფრომაძე და ხაფავა.

ა. კიკვაძემ კოოპერაციის ქუჩაზე № 14 სახლში მცხოვრებ მღებავ ვ. არუთინიანს 200 მანეთი გამოართვა ტელეფონის დადგმისათვის. ეს თანხა კიკვაძემ მთავარ ინჟინერს დ. ხაფავას გაუყო.

როგორც კი ეს ფაქტი კოლექტივიზაციის ქუჩაზე მცხოვრებმა ნ. მამედოვამ და ნ. ჰაპუაშვილმა შეიტყეს, სწრაფად მონახეს თეთრთმიანი კეთილი ადამიანი (ასე შეარქვეს კლიენტებმა ა. კიკვაძეს), მისცეს მას 450 მანეთი. აქედან სამასი მანეთი მიიღო სოფრომაძემ. მესამე დღეს კი ტელეფონები ზემოაღნიშნულ კლიენტთა ბინებში აწყრიალდა...

ხანგამოშვებით ა. კიკვაძე უფროსისადი ხელმრუდეობასაც კი იჩენდა. მაგალითად, რიცა არბოს ქ. № 2 მცხოვრებ ა. სემეონოვს ტელეფონის დასადგმელად 200 მანეთი გამოართვა, გაიტრუნა, თანხა არავის გაუყო.

მალე მექრთამეთა ბრბოს სატელეფონო ქსელის განვითარების საამქროს უფროსი თ. ფანჩულიძე შეუერთდა. სულხან-საბა ორბელიანის ქუჩაზე მცხოვრებ ვაჭრობის მუშაკ ა. აჯიაშვილთან ადგილად გამონახა საერთო ენა, ტელეფონი სასწრაფოდ დაუდგა და ხუთასი მანეთიც გამოართვა. აქედან სამასი მანეთი ჩაბარა გ. სოფრომაძეს, ორასი თვითონ დაიტოვა.

ანსად არ მუშაობდა ი. შალვაშვილი (კანდელაკის ქ. № 35), როცა ტელეფონის დადგმა მოისურვა. მან სატელეფონო ქსელის სამმართველოს სამინტაჟო განყოფილების თანამშრომელს თ. პეტრიაშვილს 500 მანეთი მიუტანა, პეტრიაშვილმა კი თავის მხრივ ეს თანხა ა. მათიკაშვილს გადასცა, მათიკაშვილმა 300 მანეთი ხაფავას მიართვა, და შალვაშვილის ბინაზეც ტელეფონმა დაიწკარუნა.

კოჯრის ქ. № 1 მცხოვრებ, ვაჭრობის მუშაკს საქონელმცოდნეს გ. ლუარსაბიშვილს თ. ფანჩულიძემ სამასი მანეთი გამოართვა, აქედან ორასი მანეთი მინისტროს თანამშრომლებმა ბ. ბონდარენკომ, ჯ. ნაკაიძემ, შ. ბაღათურიამ, რ. წერეთელმა, ნ. კიკნაძემ, ნ. ილურიძემ, თ. გაბრიელიანმა, გ. შალამბერიძემ...

მექრთამეები და მათი ხელისშემწყობნი საბჭოთა მართლმსაჯულების წინაშე წარსდგნენ.

ქრთამის მიმცემთა ნაწილი, რომლებმაც პატიოსნად, ნებაყოფლობით აღიარეს ყველაფერი, სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიეცემულ არ იქნა.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ ამხ. შ. მაზარაძის თავმჯდომარეობით და პროკურორ პ. შუშანიას მონაწილეობით გ. სოფრომაძეს 15 წლის პატიმრობა მიუსაჯა სასჯელის გაძლიერებული რეჟიმის კოლონიაში მოხდით; დ. ი. ხაფავას — 12 წლით — სასჯელის გაძლიერებული რეჟიმის კოლონიაში მოხდით; გ. ა. თუთბერიძეს — ათი წლით სასჯელის მკაცრი რეჟიმის კოლონიაში მოხდით;

ა. ი. მათიკაშვილს. ა. პ. კიკვაძეს, თ. ნ. ფანჩულიძეს — რვა-რვა წლით პატიმრობა სასჯელის გაძლიერებულ რეჟიმის კოლონიაში მოხდით;

ს. ვ. ედიგაროვს, ვ. ი. შარაძენიძეს — ხუთ-ხუთი წლით პატიმრობა გაძლიერებული რეჟიმის კოლონიაში მოხდით;

მ. ნ. კახიანს, ა. ი. გელაშვილს, ე. ს. აგლაძეს, ი. ტ. კვირიკაძეს, ი. ი. შალვაშვილს, ი. ბ. ყვითელაშვილს, ა. ა. მამისთვალოვს, ვ. ა. არუთინიანს სამ-სამი წლის პატიმრობა.

სასტიკად დასაჯენენ სხვა დამნაშავენიც.

დარბაზში მყოფნი ქმაყოფილებით შეხვდნენ საბჭოთა ხალხის სასელით გამოტანილ განაჩენს.

* * *

აქ წერტილის დასმა გვინდოდა, მაგრამ გაგვახსენდა სასამართლოს დარბაზში დამსწრეთა გულისტკივილით თქმული სიტყვები:

— გაქნილმა მექრთამეებმა მძიმე ბრალობა მიაყენეს დედაქალაქის მეურნეობის დიდმნიშვნელოვან დარგს — სატელეფონო ქსელს. ნუთუ მათ კონტროლს არავინ უწევდა? ასე თავისუფლად როგორ თარეშობდნენ?

მეტად დამაფიქრებელია!

აქედან საჭირო დასკვნები უნდა გააკეთონ საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს ხელმძღვანელებმა. მათ ბევრი რამ აქვთ გამოსასწორებელი და გასაკეთებელი. სატელეფონო ქსელმა ბრილობები სასწრაფოდ უნდა მოიშუშოს. სამიდდიდ უნდა დაიხშოს ბოროტმოქმედების ცდის ყველა ხვრელი.

ა. ნაჰყებია,
საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამომძიებლო სამმართველოს ქვეგანყოფილების უფროსი.

ა. ბოცირიძე,
„კომუნისტის" სპეც. კორ.

გ. ე. ჩხარტიშვილი —
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შუა საუკუნეების ისტორიის კათედრის დოცენტმა **გრიგოლ ერემის-ძე ჩხარტიშვილმა** ისტორიის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს საჯარო სხდომაზე ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დაიცვა დისერტაცია თემაზე: **„XII-XIII საუკუნეების ინგლისის ქალაქის ისტორიის ზოგიერთი საკითხი** (ხელოსნობა, ვაჭრობა, თვითმმართველობა").

სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს უმაღლესმა სატესტაციო კომისიამ დაანმკიცა **გ. ე. ჩხარტიშვილისათვის** ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მინიჭება.

რადიო

14 იანვარი

პირველი პროგრამით

06.05 — უკანასკნელი ცნობები, 06.35 — ქართული ხალხური სიმღერები, 09.30 — რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 11.05 — შ. მშველიძე. ნაწყვეტები ოპერებიდან, 11.45 — რუბინშტეინი. სარკეკესტრო პიესები, 12.30 — ახალგაზრდობისათვის. ციკლიდან „ლენინური გაკვეთილები — ახალგაზრდობას". საუბარი „ლენინი ახალგაზრდობის ესთეტიკური აღზრდის შესახებ", 12.45 — სიმღერები ნ. აბესაძისა და ს. კოროშინაძის შესრულებით, 13.00 — უკანასკნელი ცნობები (მოსკოვი), 17.00 — უკანასკნელი ცნობები, 17.15 — ოფენბახი. ნაწყვეტები ოპერა „ჰოფმანის ზღაპრებიდან", 17.30 — მოსწავლეთათვის. კონცერტი „თქვენი თხოვნით, მეგობრებო!", 18.10 — ქართული ხალხური სიმღერები, 18.45 — მღერის ვოკალური კვარტეტი „აკორდი", 19.15— ვალსები, 19.45 — ზ. ფალიაშვილი. ნაწყვეტები ოპერა „ლაკვარადან", 20.30 — რადიოჟურნალი „თბილისი-ბაქო-ერევანი". ტრანსლაცია ბაქოდან, 21.00 — „ძილისპირული", 21.10 — გრიგი. მეორე სონატა ვიოლინოსა და ფორტეპიანოსათვის და სიმღერები, 22.00 — სცენური სპექტაკლებიდან, 22.50 — ნ. მამისაშვილი. ინსტრუმენტული პიესები, 23.30 — მუსიკა ქართული კინოფილმებიდან, 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

ტელევიზია

13 იანვარი

11.00 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.15 — „მოჩღერლის შემოქმედებითი ალბომი" — მ. ამირანაშვილი (12 იანვრის გადაცემის გამეორება), 12.00 — ბავშვებისათვის „ცხოველთა სამყაროში" (გადმოცემა ლენინგრადიდან), 12.30 — მხატვრული ფილმი „ფარი და მახვილი" I სერია („ნაბრძანებია გაუძლო") ქართულ ენაზე.

თეატრები

13 იანვარი

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლის კონცერტი; **რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური** — ხანუმა; **თოჯინების ქართული** — გულივერი. ლილიპუტების ქვეყანაში (11 ს. მე-3, მე-4, 85-ე და 112-ე სკოლები, 1 ს. 124-ე სკოლა), ქალაქელი (3 ს. 23-ე სკოლა).

კინო

13 იანვარი

ამირანი, საქართველო (წითელი დარბაზი), ისანი, გაზაფხული, სპარტაკი, კოლხიდა, ბლეხანოვის სახელობის კულტურის სახლი, ჭავჭავაძის სახელობის კულტურის სახლი, სპორტი, ეკრანი, ბათუმი, — **ცოლქმრული ცხოვრება** (I, II სერია); ოქტომბერი — **ვინეტუ — ამაჩების ბელადი**; საქართველო (მწვანე დარბაზი), 26 კომისრის სახელობის (მეორე დარბაზი), თანამგზავრი, კომკავშირელი — **დედობრივი სიყვარული** (I, II სერია); 26 კომისრის სახელობის (პირველი დარბაზი) — **ფლიპერი**; ნაკადული — **ანჟელიკა და ხელმწიფე**; ყაზბეგი (მეორე დარბაზი) — **ანჟელიკა — ანგელოზების მარკიზა**; ვარძია, ყაზბეგი (პირველი დარბაზი) — **თავისუფლებისათვის შობილი**; კოლმეურნე — **აგენტი უნებლიეთ** (I, II სერია).

რედაქტორი
დ. მჟელიშვილი.



თბილისი, ლენინის 14, რედაქტორის მოადგილეების — 99-93-08, 99-03-09, პ/მგ. მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული — 99-87-61, პროპაგანდის —93-22-93, მრეწველობის — 93-20-34, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, ნაბეჭდი მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93-16-90, წერილების 99-73-24, ილუსტრაციის — 93-28-54, განცხადებების — 93-93-96.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443 УЭ 03113 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. 14.